# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 10 ივნისი. 2016 წ. №106 (7998), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




თეიმურაზ ქორიძე:

## მართლ-მსაჯულების მომავალი სამი ქალბატონის ხელშია!

ვანოს ტრაგი-კომედია – „წადით, თქვენი!“...

3



## ისიამოვნეთ ფეხბურთით!

დღეს საფრანგეთისა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩით სტარტს იღებს ფეხბურთელთა საიუბილეო – XV ევროპული ფორუმი.

6-7

## გელბახიანი ვინმე ახალ კოდუას ხომ არ ეძებს ივანიშვილის ბიზნესცენტრში შესაგზავნად?!

**ამჟამინდელ ქართველ ნათელმხილველთა შორის ლიდერი თავგაექსპერტებული ვალერი გელბახიანია!..**

**ნისლიან ალბიონში ბადრი პატარკაციშვილის უეცარი და აშკარად საეჭვოდ მოულოდნელი დაღუპვის შემდეგ დროის ეკრანიდან მცირე ხნით გაქრა აგერ უკვე რამდენი წელიწადია თავგაექსპერტებული ვალერი გელბახიანი, რომელსაც ხალხის თვალში დღემდე თავზე ადგას ცხონებული ბადრის აჩრდილი და პოლიტიკურად უცხოდ სმენაგამახვილებულთ საყვედურის ხმაც ესმით: რა იყო, შე მამონას დამონებულო კაცო, რას მასტუმრე ის ავაზაკი კოდუა, ვითომ მართლა არ იცოდი, ვისი და რა დავალების შესასრულებლად უნდოდა ჩემთან შეხვედრა?! არ მინდა დაჯერება, მაგრამ, როგორც ჩანს, ორმაგი თამაშის ჩვევა ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი.**



და აი, აწ სათუო, დამაეჭვებელ ვითარებაში დაღუპული ერთი მილიარდერის ვითომ მეგობარი დაუფარავ, ფარდაახდილ მტრად გაუხდა მეორე მილიარდერს, რომელმაც, ეტყობა, წინაკაცის მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით თავისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა ამ ყოველივე ახალი ვითარებისდა მიხედვით თავგაექსპერტებულ ნათელმხილველს.

და აი, პოლიტიკურად ხმადაყენებულმა ნათელმხილველმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო წინასწარ განჭვრეტა... თუ ივანიშვილზე 2012 წელს მითები დადიოდა, ეს მითები უკვე დაიმსხვრაო. გაიარეთ ქუჩაში, ბაზარში და ნახავთ, ადამიანები ივანიშვილს აგინებენ, მისგან თავს მოტყუებულად და დამცირებულად თვლიანო. პროტესტს უცხადებენ, მის შესახებ მითები გამქრალია. ივანიშვილმა რამდენჯერმე თქვა, თუ ჩემი გუნდი არ გაიმარჯვებს, პოლიტიკიდან წავალო... და ნათელმხილველი გელბახიანი ასკვნის, ის იძულებული გახდება, რომ წავიდესო...

არა ბატონო, გელბახიანი ცაში მაყურებელი ცაგარელი ან ყოვლის მჭვრეტელი კაკულია არ გეგონოთ. გელბახიანი ანალიტიკოსი ნათელმხილველია, რომელსაც ღვთისგან მოსდგამს ეს საოცარი ნიჭი.

ა, ბატონო, ანალიტიკოსი ნათელმხილველობის კიდევ ერთი ცხადი მაგალითი: გამოძიებით არ არის დადგენილი, იყო თუ არა კორცხელში ცემა-ტყეპის დამკვეთი, მაგრამ თურმე მაინც ყველამ იცის, რომ ამის უკან იდგა კახი კალაძე და უნდა ვივარაუდოთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოყენებული იქნება ძალადობის მეთოდოლოგია, ხოლო დამკვეთი არ იქნება დასჯილიო. არ მგონია, რომ კორცხელის ინციდენტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი საზოგადოებამ ნორმალურად მიიღოს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად და არც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ექნება დადებითი რეაქციაო. ეს გადაწყვეტილება თავხედობას უფრო ჰგავს, რომ ეჭვმიტანილ ადამიანს ჩააბარო პროცესების მართვაო...

ერთი სიტყვით, ნათელმხილველი გელბახიანის სურვილი დღესავით ნათელია, რომ თავისი შადიმანური ჭკუის ბნელი ბილიკებით ატაროს ჩვენი, ცოტა არ იყოს, პოლიტიკურად დაბნეული, ავისა და კარგის ერთმანეთისგან არცთუ ადვილად გამშორიშორებელი საზოგადოება... და ყოველივე ამის შემყურეთ, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ეს ახალი დროის ნათელმხილველი ვინმე ახალ კოდუას ეძებდეს ივანიშვილის ბიზნესცენტრში შესაგზავნად...



ერთი სიტყვით, მართლა უცნაური რამ დროჟამი დგას ამ ჩვენს ვითომ დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში.

**ღმერთო, კეთილი თვალით გადმოხედე ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, გვიხსენი ჩვენიანთაგანვე ტანჯული ქვეყნის ამრევ გელბახიანისნაირ პოლიტიკურ ნათელმხილველთაგან!**

## პოლიტსტადიონი – 2
## ვინ არიან ახალი მოთამაშეები?

4



## სულის ზეაღსვლა

რევაზ სირაძე – 80

5

## ვალერიან გრძელიშვილი – რუსთავ-ქალაქის ერთგული მესიხოვნე

9




## ბიძინა ივანიშვილი გააქტიურდა!

ბიძინა ივანიშვილი მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აგრძელებს. 14 ივნისს, 12 საათზე, „ტექნოპარკის“ შენობაში მორიგ შეხვედრას ადგილობრივი და საერთაშორისო ბეჭდური მედიისა და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებთან გამართავს.

* * *

ყოფილი პრემიერ-მინისტრი საქართველოს რეგიონებში შეხვედრებს პირველი სექტემბრიდან დაიწყებს, თუმცა, უცნობია, თუ თუ რომელ რეგიონს ეწვევა პირველად ექს-პრემიერი. **„ვფიქრობ, კვირაში ორი შეხვედრა მოვაწყო – ორშაბათს და ხუთშაბათს, რომ მოვასწრო ათივე რეგიონში და ალბათ, თბილისშიც მომიწევს ერთი ან ორი სატელევიზიო გამოსვლა და აქტივთან შეხვედრა“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## გიორგი მარგველაშვილი: მე ვეკუთვნი იმ კულტურას და ხალხს, რომელიც აფასებს თავისუფლებას



**საქართველოს პრეზიდენტი და პირველი ლედი ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ.**

ქვეყნის პირველმა პირმა მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა ჩვენი ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის გაზიარებისათვის.

„მსურს, თითოეულ აქ დამსწრე სტუმარს მადლობა გადავუხადო ამ მნიშვნელოვანი დღის ჩვენთან ერთად აღნიშვნისათვის, მათ ვინც ეს დღე 26 მაისს ჩვენთან ერთად აღნიშნა. ეს დღე ევროპის ბევრ დედაქალაქსა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საქართველოს დროშის ფერებით აღინიშნა. ჩემთვის პატივია, დღეს თქვენთან ერთად ვიმყოფებოდე აქ, ევროკავშირისა და ნატოს დედაქალაქში და ჩემი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თარიღს თქვენთან ერთად ვზეიმობდე.

საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, მე ეს წელი ევროპული სახელმწიფოს წლად გამოვაცხადე.

მე ვეკუთვნი იმ კულტურას და ხალხს, რომელიც აფასებს თავისუფლებას, ინდივიდუალურ არჩევანს და პატივს სცემს სხვა ხალხების ინდივიდუალურ არჩევანსაც.

მჯერა, რომ ევროპული სახელმწიფოს შენება არის ჩემი ხალხის მიზანი, რომელიც სამი ათას წელს ითვლის და შესანიშნავად შეეფერება მათ არჩევანს“.

## ბიძინა ივანიშვილი: შეჭირვებულმა მოსახლეობამ სიმართლე უნდა გაიგოს!

**გამოცდების ეროვნულ ცენტრში სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებულებთან შეხვედრაზე ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთხელ ისაუბრა თავის მიერ გამოქვეყნებულ ღია წერილზე და სამოქალაქო საზოგადოების როლზე ქვეყნის განვითარებაში.**

„თუ ვერ მოვახერხებთ იმ მინიმალური მოვალეობის შესრულებას, რაც მოქალაქეს აკისრია, მივიღებთ ბევრ გაუგებრობას. ჩვენ საოცარი გარდატეხა მოვახდინეთ ოთხი წლის განმავლობაში, ის რომ დიქტატურისკენ მიმავალი ქვეყანა დემოკრატიის რელსებზე გადავსვით, არ იყო მარტივი. ამას დაჟინებული შრომა სჭირდებოდა. ეს ხელიდან არ უნდა გავუშვათ, მით უმეტეს დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელიც დაინერგა ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ და ახლოსაა ევროპულთან, სჭირდება გაღრმავება. ამ დროს ეკონომიკა ძალიან განსხვავდება ევროპული ეკონომიკისგან, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტით 6-ჯერ და უფრო მეტჯერ ჩამოვრჩებით განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს. ამ დროს ასეთი ტიპის დემოკრატია შეიცავს გარკვეულ ხიფათსაც, რომ შეჭირვებულმა მოსახლეობამ, რომელიც საკმაოდ გვყავს ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება სწორი ანალიზი ვერ გააკეთოს და ხელისუფლების ბრალეულობად ჩათვალოს ის რაც ხდება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



მისივე თქმით, 25 წელი მოჯადოებულ წრეზე დავდივართ და ეს წრე 2012 წლის არჩევნებზე გაიხსნა.

„საქართველოში ყველაფერი მორგებულია ადამიანის უფლებებზე, თუმცა, პარალელურად ირღვევა ადამიანის ერთ-ერთი ძირეული უფლება, იშოვოს ღისეული სამუშაო ადგილი.

3-4 წელიწადში ამას ვერ მოვერეოდით და ვერც მოვერიეთ, თუმცა, ტენდენცია კარგია და აუცილებლად მივაღწევთ გამარჯვებას“, — განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ამ გამარჯვებას 10-15 წელიწადი დასჭირდება თუ იქნება შევინარჩუნებთ პოლიტიკური სტაბილურობა.

## გიორგი კვირიკაშვილი: აფხაზეთსა და ცხინვალში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული სიტუაცია საკმაოდ მძიმეა

**ეთნიკურ ქართველებს პერიოდულად აკავებენ საოკუპაციო ძალები, გადაყავთ ციხეებში და ითხოვენ თანხის გადახდას, მაგრამ ვერაფერი შეცვლის საქართველოს მომავალს, რომელიც მოსახლეობამ აირჩია, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისში მიმდინარე საერთაშორისო ენერგეტიკულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.**

პრემიერმა ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა.

„გამოწვევაა ის, რომ საქართველოს ორ ისტორიულ რეგიონში აფხაზეთსა და ცხინვალში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. ორივე რეგიონში სამხედრო ძალების კონცენტრირება გრძელდება. ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები საოკუპაციო ხაზთანაც, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც ეთნიკურ ქართველებთან მიმართებაში.



გუშინ კი, ვნახეთ ახალი ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნები, რაც იმას ნიშნავს, რომ ბორდერიზაციის პროცესი გრძელდება“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## თუ ვინმე ჰესს აშენებს, საუბედუროდ, მე არ ვმონაწილეობ ამაში!

**ბოტანიკურ ბაღში ჰესის აშენება როგორ შეიძლება? — ასე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობის გავრცელებულ ინფორმაციას.**

ივანიშვილის თქმით, ბოტანიკურ ბაღში ჰესის მშენებლობის ნებართვას ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ხელს არ მოაწერდა, ხოლო თუ ზოგადად იგეგმება ჰესის მშენებლობა, ეს მისასალმებელია.

„თუ ვინმე ჰესს აშენებს, საუბედუროდ, მე არ ვმონაწილეობ ამაში. რომ ვმონაწილეობდე, ვიამაყებდი. არც ვიცოდი, იუმორით მომიყვნენ ეს ამბავი გუშინ. კარგია თუ ვინმე ჰესს აშენებს, უნდა მივესალმოთ. მე არ მგონია, რომ ეს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე და მისი განადგურების საფუძველზე აშენდეს. ასეთ სისულელეს ხელს არ მოაწერდა არც კახი კალაძე და არც მთავრობის სხვა წარმომადგენლები. შეიძლება წინა ხელისუფლებას გაეკეთებინა“, — განუცხადა ჟურნალისტებს ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ სიტყვა მშენებლობა უარყოფით კონტექსტში გადაიყვანა.

## ბესელია „რუსთავი-2“-ის სამიზნეებზე საუბრობს



**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მოსამართლე მერაბ ტურავას მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში „რუსთავი-2“-ის სარჩელების განხილვის მოთხოვნაში უცნაურს ვერაფერს ხედავს და ამბობს, რომ კანონი ამოქმედებულია და მისი გამოყენება პრაქტიკაში ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია. დეპუტატი ჟურნალისტ ელისო კილაძის მიერ გამოთქმულ იმ ბრალდებებსაც უპასუხა და საკითხის კომენტირებისას „რუსთავი-2“-ს მიმართა.** „ასეთი განცდა მაქვს, რომ გყავთ პერსონალური სამიზნეები, რომლებსაც თვლით თქვენს მტრად. ასეთ პერსონალურ ჩამონათვალში, სიაში პირველ ნომერს ვერავინ ვერ წაართმევს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც თქვენი ყოველდღიური მუშაობის მუზაა. სადღაც ამ ჩამონათვალში, თუ სამეულში არა, ხუთეულში ნამდვილად მეც ვხვდები, იმიტომ, რომ ბევრი პერსონალური თავდასხმა მიმიღია თქვენი ტელევიზიის მხრიდან და მივეჩვიე უკვე, ყოველდღე რაღაც ახალს გამოაცხობთ ხოლმე. თუ იქამდე დავიდა ეს ძალიან დიდი ისტორიის მქონე ტელევიზია და ისე გაგიჭირდათ, რომ კილაძის ბოდვებს და მის არასერიოზულ, კომიკურ სიუჟეტებს იჯერებთ, იგონებთ და იყენებთ, ეს არის სერიოზული პრობლემა თქვენი ტელევიზიისთვის. კანონი მიიღება რისთვის, რომ თაროზე შემოდონ და მოსამართლეებმა უყურონ, როგორც უცხო ხილს თუ იმისთვის, რომ გამოიყენონ? მე არ ვიცი, მოსამართლე ამ კანონს მეორე დღესვე გამოიყენებს თუ ორი თვის შემდეგ, მაგრამ კანონი უნდა იყოს ამოქმედებული“, — განაცხდა ბესელიამ.

## ოკუპანტების მიერ საზღვრის გადმოწევა ნაციონალური მოძრაობის ლიდერის გაუგებარი ქმედების შედეგია

**ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი ოკუპანტების მიერ საზღვრის გადმოწევის ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ „ეს უბედურება , ნაციონალური მოძრაობის ლიდერის გაუგებარი ქმედების შედეგია. მისი თქმით, ეს ახალი პროვოკაცია აღმაშფოთებელია.**

„მე როგორც თვალს ვადევნებ, სახელმწიფო მოხელეებმა ყველამ ჯანსაღი რეაქცია გააკეთა. ასე უნდა გავაგრძელოთ. ის უბედურება, რაც დღეს გვჭირს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის გაუგებარი ქმედების შედეგია. ისინი ძალიან დაეხმარნენ რუსებს, განეხორციელებინათ ის, რაც განახორციელეს. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მშვიდობიანი გზით და არ წამოვეგოთ პროვოკაციაზე. საერთაშორისო თანამეგობრობა მაქსიმალურად უნდა გვყავდეს ინფორმირებული და მშვიდობიანი გზით მათთან ერთად უნდა აღვადგინოთ ის უბედურება და დარღვევები, რაც მათი დანაშაულებრივი შეცდომის შედეგია. გასაგებია, რუსეთის ქმედება და ის, რომ ტერიტორიებია ოკუპირებული, ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ და დავიბრუნებთ ჩვენს ძმებს — აფხაზებს და ოსებს. ამავდროულად, გავაერთიანებთ ტერიტორიებს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

## არ გამოუვიდა ნიკანორ მელიას საზოგადოების მოტყუება

**საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს განცხადებით ბოტანიკურ ბაღში ჰესი არ შენდება.**



„ეს არის ძალიან დიდი ტყუილი. არ გამოუვიდა ნიკანორ მელიას საზოგადოების მოტყუება. ნაციონალური მოძრაობა არის სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული ორგანიზაცია“, — აღნიშნა კალაძემ.

როგორც კალაძემ ჟურნალისტებს განუმარტა, საუბარი იყო პატარა ჰესზე, რომელიც წავკისში უნდა აშენებულიყო, თუმცა იმ მოცემულობით, რითაც ინვესტორს აქვს შემოტანილი განაცხადი, პროექტი ფინანსურად საინტერესო არ არის.

შეგახსენებთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ მათ აქვთ ორი დოკუმენტი, რომლის მიხედვით ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა იგეგმება.

## გია ცაგარეიშვილი „გადიდკაცდა“

**„თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო შტაბს გია ცაგარეიშვილი უხელმძღვანელებს. დეპუტატი ამ თანამდებობაზე პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ წარადგინა. ალასანია თვლის, რომ ცაგარეიშვილის გამოცდილება პარტიას გამარჯვებაში დაეხმარება.**



„თავისუფალი დემოკრატებმა“ გუშინვე შეიტანეს განაცხადი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკურ სუბიექტად დარეგისტრირების თაობაზე.

## ნიკა გვარამია ხომ არის სიმართლის და ჭეშმარიტების ეტალონი!..

**ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი არაადეკვატურს უწოდებს ბრალდებას, რომ მის ინტერესებში შედის „რუსთავი-2“-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესები.**



„ამის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ შეჩვეულია წლების განმავლობაში, რომ სიცრუეში აცხოვროს საზოგადოება. ასე გრძელდება ახლაც და ამაში საოცრება არაფერია. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ როგორც პარტიამ, ძველებმაც და ახლებმაც, კეთილი უნდა ინებონ და პატივი სცენ კანონმდებლობას. ახლა რაღაც კანონი არ მოსწონთ და აირჩიეს ახალი აქცია, სასამართლოს საჯაროდ ტელევიზიით განიხილავენ და ამით მის განადგურებას ცდილობენ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჟურნალიტის რეპლიკას, რომ ამ საკითხზე ნიკა გვარამია საუბრობს, ბიძინა ივანიშვილი კითხვით პასუხობს.

„გვარამია ხომ არის სიმართლის და ჭეშმარიტების ეტალონი. „იმედის“ დარბევის დროს, როცა ჟურნალისტები მიწაზე იყვნენ გართხმული, სწორედ ნიკა გვარამია იყო პროკურორის მოადგილე. დღეს გახდა გვარამია ჭეშმარიტების ბოლო სიმბოლო“, — აცხადებს ივანიშვილი.

# ვანოს ტრაგიკომედია – „წადით, თქვენი!“...





ვანო ჩხარტიშვილი

**თითქმის ათი წელიწადია, ქართველი და უცხოელი აქტიორების მონაწილეობით მთელი მსოფლიოს დასანახად მიმდინარეობს ტრაგიკომედია კოდური სახელწოდებით „წადით, თქვენი!...“. წარმოდგენის სცენარის ავტორი, რეჟისორი, კომპოზიტორი, დირიჟორი და მთავარი როლის შემსრულებელი გახლავთ ქართველი მილიონერი, პოლიტიკოსი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჩხარტიშვილი – უბრალოდ, ვანო, როგორც მას თავის დოკუმენტებში მოიხსენიებს დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლო.**

ვანო ჩხარტიშვილის სახელთან დაკავშირებულ კრიმინალურ ისტორიებში ბევრი რამ ბუნდოვანი, უბრალოდ, საღი გონებისთვის მიუღებელი და მიუწვდომელია. განსაკუთრებით, ეს ეხება იმ არეულ 90-იან წლებში ჩატარებულ გრანდიოზულ აფიორას – „ახალი ქართული ბანკის“ შექმნას და მისი მეშვეობით 800 000-მდე მეანაბრის გაკოტრებას. ეს გახლდათ ხელისუფლების უმაღლესი ჩინების მიერ კარგად დაგეგმილი და შესრულებული „ოპერაცია“ – უმძიმესი დანაშაული ქართველი ხალხის, საქართველოს სახელმწიფოსა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, კაცობრიობის წინააღმდეგ. ბატონი ჩხარტიშვილის ნიჭიერებაზე არც ისეთი მაღალი წარმოდგენისა ვარ, ყველაფერი რომ მას დავაბრალო, მაგრამ „ახალი ქართული ბანკის“ პრეზიდენტი და ერთ-ერთი დამფუძნებელი ამ საქმეში მეორეხარისხოვან როლს რომ არ დასჯერდებოდა, ამას წყალი არ გაუვა.

**თუ არ ვცდები, ჰენრი ფორდს (ან იქნებ არისტოტელე ონასისს!) ეკუთვნის ფრთიანი გამოთქმა, „მზად ვარ, გიპასუხოთ ყველაფერზე, ოღონდ ნუ მკითხავთ, როგორ ვიშოვე პირველი მილიონი“. ეს ნიშნავს, რომ საკუთარი თავის და რეპუტაციის პატივისმცემელი ბიზნესმენი, მას შემდეგ, რაც რაღაც ბნელი გზებით საწყისი ფინანსები იშოვა, იგივეს აღარ იმეორებს – ქონების დაგროვებას პატიოსანი გზებით ცდილობს. ქართული ბიზნესის სიამაყე ბატონი ვანო ამ მხრივაც გამონაკლისია – მას შემდეგაც, რაც ერთ მშვენიერ დილას ასი მილიონის მფლობელად გაიღვიძა, სხვისი ქონების ხელში ჩაგდებაზე ფიქრობს. თანამედროვე მსოფლიოში ძნელი წარმოსადგენია ბიზნესმენი (ხაზს ვუსვამ, ბიზნესმენი და არა მაფიოზი!) ვინც საერთაშორისო მასშტაბის ამდენ ავანტიურაში იყოს გახლართული, ერთდროულად ამდენი მომჩივანი ჰყავდეს, თვითონაც ერთდროულად ამდენი ფირმის მოსარჩელე იყოს, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის ოფისის თავხედურად მითვისებისთვის კოლეგა-ბიზნესმენების მთელი ლეგიონი უჩიოდეს...**

გადახედეთ თუნდაც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გამოსულ ქართულ გაზეთებს („საქართველოს რესპუბლიკა“, „ალია“, „ვერსია“, „ქრონიკა“, „პრაიმ თაიმი“, „ასავალ-დასავალი“...), ნახეთ თითქმის ყველა სერიოზული ქართული ტელეარხის „ვანოს თემაზე“ მომზადებული გადაცემები... ნებისმიერ თავმოყვარე ქვეყანაში (ისეთშიც კი, ევროპასთან ინტეგრაციაზე რომ არ ოცნებობს) მედიის ასეთი ერთსულოვანი, ტოტალური შეტევის საფუძველზე ხელისუფლება ან „ვანოს საქმის“ გამოძიებას დაიწყებდა, ან ცილისწამებისა და პატიოსანი ბიზნესმენის საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მედიასაშუალებებს დასჯიდა. ჩვენთან არც ერთი ხდება და არც მეორე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბატონ ვანოს საქართველოს ხელისუფლებაში ჯერ კიდევ ძლევამოსილი მფარველები ჰყავს.

ბოდიშს ვიხდი, თუ გადავაჭარბე – შესაძლოა, ეს მფარველები თვითონ არ იყვნენ ხელისუფლებაში, მაგრამ იყვნენ ის ადამიანები, ვისაც დიდი გავლენა აქვთ ხელისუფლებაზე. უფრო კონკრეტულად – სასამართლო ხელისუფლებაზე.

**სხვანაირად, ძნელი ასახსნელია, როგორ ხვდებოდა ვანოს სახელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საქმეების უმრავლესობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი მოსამართლის გიორგი სულაკაძის ხელში; როგორ ბედავდა ეს კაცი სასამართლოს შესახებ კანონის უხეშ დარღვევას (იმ საქმის განხილვას, რომელსაც უკვე განიხილავდა სხვა, მაგალითად, ფოთის სასამართლო); რატომ ითვალისწინებდა მოსარჩელე (ვანო ჩხარტიშვილის) მხარის უკლებლივ ყველა ბოდვით მოსაზრებას და არ ითვალისწინებდა მოპასუხის არც ერთ არგუმენტს; რატომ ცდილობდა მოპასუხე მხარეების გაკოტრებას; ელემენტარული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, რატომ გამოჰქონდა ვანოს სასარგებლოდ მოპასუხეებისთვის კოლოსალური თანხების დაკისრების გადაწყვეტილება...**

ამჯერად შეგნებულად გვერდს ვუვლი „ჩხარტიშვილი-თიბისი-ტრანსფორდი-აგრიკომის“ საქმის დეტალების განხილვას. ამაზე უკვე ისედაც ბევრი ითქვა და დაიწერა. თუ ბატონი ვანოს მხარეს ჩემს კომპეტენციასა და მიუკერძოებლობაში ეჭვი შეეპარება, მზად ვარ, აქ გამოთქმული მოსაზრებები დოკუმენტურად დავასაბუთო, თუნდაც ერთი საქმის მაგალითზე.

მოსამართლე სულაკაძემ თავისი ბნელი მისია უკვე შეასრულა. ახლა საქმეს სააპელაციო სასამართლო და, შესაბამისად, მოსამართლეთა სხვა შემადგენლობა (ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე, ქეთევან მესხიშვილი) განიხილავს. თუ უკვე ჩატარებული პროცესებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ვითარება რადიკალურად შეცვლილია – მოსამართლე, წინამორბედისგან განსხვავებით, უსმენს მოპასუხე მხარის არგუმენტებს და აშკარად ცდილობს საქმეში გარკვევას. ეს გარემოება, მართალია, იმედს აჩენს, მაგრამ ეჭვი მაინც რჩება – გაბედავს თუ არა სააპელაციო სასამართლო ვანო ჩხარტიშვილის ძლევამოსილი ფიგურის ზეგავლენისგან თავის დაღწევას და საბოლოოდ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ სასამართლო მხარეებს დაჟინებით მოუწოდებს მორიგებისაკენ.

## მართლმსაჯულების მომავალი სამი ქალბატონის ხელშია!

**გაბედავს თუ არა სააპელაციო სასამართლო ვანო ჩხარტიშვილის ძლევამოსილი ფიგურის ზეგავლენისგან თავის დაღწევას და საბოლოოდ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ სასამართლო მხარეებს დაჟინებით მოუწოდებს მორიგებისაკენ.**

**შექმნილი ვითარებიდან მორიგება, იცოცხლეთ, მართლაც საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ აქვე ისმის საკრამენტული კითხვა – რა შეიძლება იყოს მორიგების საგანი ვანო ჩხარტიშვილსა და, მაგალითად, „აგრიკომს“ შორის?**

შექმნილი ვითარებიდან მორიგება, იცოცხლეთ, მართლაც საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ აქვე ისმის საკრამენტული კითხვა – რა შეიძლება იყოს მორიგების საგანი ვანო ჩხარტიშვილსა და, მაგალითად, „აგრიკომს“ შორის?

საქმე ის არის, რომ თავის დროზე (ექვსი წლის წინათ) ოდესღაც ვანოს კუთვნილი ფოთის წისქვილქარხანა „აგრიკომმა“ შეიძინა არა მისი ყოფილი მფლობელისგან (ვანოსგან), არამედ „თიბისი ბანკისგან“. იგი კეთილსინდისიერი მყიდველია და ვანო ჩხარტიშვილთან, საერთოდ, არ შეიძლება რაიმე სადავო ჰქონდეს. გაგიკვირდებათ და, ბანკსა და „აგრიკომს“ შორის გარიგების სრულ კანონიერებას თვით მოსამართლე სულაკაძეც კი არ უარყოფს. აქედან გამომდინარე, მხარეებს შორის მოლაპარაკების საგანი, საერთოდ, არ არსებობს. მით უფრო, სასამართლოს მიერ უკვე გაქარწყლებულია თავის დროზე ვანოს მიერვე გამოგონილი თეორია ვანოს წინააღმდეგ მითიური „მსოფლიო იმპერიალისტური შეთქმულების“ შესახებ სააკაშვილ-მერაბიშვილის, ქართველი და უცხოელი ბიზნესმენების მონაწილეობით.

როგორც ჩანს, მოლაპარაკების თემით სასამართლოს დროის მოგება სურს. დრო კი მას სულის მოსათქმელად, საქმის არსში ღრმად ჩასაწვდომად, შექმნილი ვითარებიდან მეტ-ნაკლებად უმტკივნეულო გამოსავალზე საფიქრელად სჭირდება. მართალია, ამით მოპასუხეები ზარალდებიან, მაგრამ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ურიგო გადაწყვეტილება სულაც არ უნდა იყოს.

**კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ „ჩხარტიშვილის საქმე“ არ არის მხოლოდ სამართლებრივი დავა ორ სუბიექტს შორის. მისი შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი და ხვალინდელი ქართული ბიზნესისთვის, ქართული სამართლისთვის, მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. მან უნდა გამოაჩინოს, საით მიდის საქართველო. ევროპული დემოკრატიისკენ, ზოგადად, პროგრესისაკენ სწრაფვა – ეს მავანთა აკვიატებაა, სიცრუე და ლიტონი დაპირებაა თუ სერიოზული სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, რასაც ზურგს უმაგრებს ქვეყნის სახელისუფლებო ნება.**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეს შემადგენლობა უმძიმესი დილემის წინაშე დგას – ან კოლეგა მოსამართლის (სულაკაძის) საბოლოოდ გაწირვა, ძლევამოსილი ჩხარტიშვილის და მისი კლანის მარადიულ მტრად მოკიდება და სამაგიეროდ, ქართული სამართლებრივი სისტემის, სასამართლო ხელისუფლების პრესტიჟის გადარჩენა; ან კოლეგის (დროებით) პასუხისმგებლობიდან დაძვრენა, ჩხარტიშვილის კეთილგანწყობის შენარჩუნება და სამაგიეროდ ქართული მართლმსაჯულების ჭაობში ჩატოვება.

არჩევანი მართლაც ურთულესია.

თუმცა, სამი ქალბატონისგან შემდგარ კოლეგიას, წესით, გადაწყვეტილების მიღება არ უნდა გაუჭირდეს. ჯერ ერთი, ვითარება ქვეყანაში ისეთი აღარაა, როგორიც თუნდაც სამი წლის წინათ იყო – სასამართლო, ფაქტობრივად, თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების მეურვეობისგან; მას ველარც პოლიცია და პროკურატურა აკონტროლებენ (მიშა და ზურა ოდესაში არიან, ვანო და გიგი – ციხეში, გოგა და პალიკო – ოპოზიციის ოპოზიციაში...); საზოგადოებრივი განწყობაც სამი წლის წინანდელისგან რადიკალურად განსხვავებულია. თანაც, რამდენიმე დღის წინ ყველა დონის დღევანდელ მოსამართლეს სიმამაცის და ნამდვილი პატრიოტიზმის მაგალითი უჩვენა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი დარახველიძემ – იგი არ შეუშინდა პოლიციისა და პროკურატურის ავტორიტეტს და გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა სამ ადამიანს, ვისაც ბრალად პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა, მისი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ედებოდა.



**სასამართლოს ამ შემადგენლობას ნამდვილად შეუძლია საკუთარი სახელები ოქროს ასოებით ჩაწეროს თანამედროვე საქართველოს, ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში.**

**არ ვაჭარბებ – ქართული მართლმსაჯულების მომავალი ახლა სამი ქალბატონის ხელშია.**

**თეიმურაზ ქორიძე**

## ელისაშვილი იმ თაგვს ემსგავსება, კატა რომ გამოთხარა...

**„ალეკო ელისაშვილმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცილი დამწამა და ჩემი ღირსების შელახვისათვის მას შევხვდები სასამართლოში“, – ამის შესახებ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა დიმიტრი მოსულიშვილმა გუშინ თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**



**მისივე თქმით, 8 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადაცემა „სხვა შუადღის“ ეთერში სტუმრად მყოფმა საკრებულოს წევრმა ალეკო ელისაშვილმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მისი და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლების მისამართით გამოიყენა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. „როგორც ჩანს, ბატონ ელისაშვილს თავისებური წარმოდგენა აქვს ღირსებაზე, ამიტომ იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების მიზნით თავს უფლებას აძლევს, თქვას, რაც ენაზე მოადგება და იძახოს ტყუილები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მე ნამდვილად არ ვაპირებ, მოვითმინო მისი მხრიდან ჩემი ღირსების შელახვა და ამიტომ ბატონ ელისაშვილს შევხვდები სასამართლოში.**

**მე ვარ საჯარო მოხელე და ამიტომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაკისრია საზოგადოების წინაშე, ამიტომ მიმაჩნია, რომ საჯარო მოხელეებმა უპასუხოდ არ უნდა დატოვონ მსგავსი ბრალდება“, – განაცხადა დიმიტრი მოსულიშვილმა.**




# ვინ არიან ახალი მოთამაშეები?

**გასული რამდენიმე დღის განმავლობაში, ქართული პოლიტიკური სტადიონი „ახალი“ მოთამაშეებით შეივსო. სიტყვა „ახალი“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ თუმცა ყველა აცხადებს განახლებული სახეებით და ძალებით შემოვდივარ ქართულ პოლიტიკაშიო, ანდაზა – ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, მახსენდება.**

ასევე მინდა, მცირე შედარება მოვახდინო დღევანდელი პოლიტსტადიონის მოთამაშეების გარკვეული ნაწილსა და თბილისის საზოგადოებრივ ავტოტრანსპორტს შორის:

**1. ქართველი პოლიტიკოსები ძალიან ჰგვანან თბილისის ტრანსპორტის როგორც მგზავრებს, ისე თავად ავტომობილებს:**

**2. მანქანების დიდი უმრავლესობა (პოლიტიკოსების) ძველია, არც ერთი არ ვარგა და უმრავლესობა შესაკეთებელი კი არა, საერთოდ გადასაგდებია.**

**3. ავტობუსის გაჩერებებზე ტაქსები (პოლიტიკოსები) ნელი ტემპით რომ შემოდიან და მგზავრს ეძებენ, ამ დროს კი ავტობუსებს (იმ ადამიანებს, რომლებიც ხალხის დიდი ნაწილისთვის მისაღებია) ხელს უშლიან.**

**4. ფრაზა სამარშრუტო ტაქსში: აი იმ ადგილამდე (არჩევნებამდე) გამიყოლე.**

**5. „მარშრუტკაში“ ყველას წინა სკამებზე (პარტიულ სიაში) უნდა დაჯდომა.**

**5. ავტობუსში ბილეთის აღების მოთხოვნაზე, პასუხი: – ჩასვლისას ავიღებ (არჩევნების მერე ყველაფერი კარგად იქნება).**

**კარგი, ამას თავი დავანებოთ და ფრიად სამწუხარო ამბავს მოვაყოლებ.**

არ დაგიმალავთ და თავიდან გადავწყვიტე, რომ საერთოდ არაფერი არ დამეწერა, მაგრამ შემდგომ იმდენმა ადამიანმა გამოთქვა თავისი გულისწყვეტა, აღფოთება და იმედგაცრუება, რომ ჩუმად ვერ ვიქნები.

ჩემი აზრით, საქართველოს „პატრიოტთა ალიანსმა“ დაუშვა საშინელი შეცდომა. გთავაზობთ ოფიციალურ ინფორმაციას:

**„პატრიოტთა ალიანსი“ ხუთ ოპოზიციურ პარტიასთან ერთიანდება და საარჩევნოდ 6 პარტიისგან შემდგარ ბლოკს წარადგენს.**

**საარჩევნო ბლოკის სახელწოდება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიციაა“ და მასში შემდეგი პარტიები არიან გაერთიანებული: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, კახა კუკავას პარტია „თავისუფალი საქართველო“, კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლება“, აკაკი ასათიანის –„საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი“, გოჩა ჯოჯუას „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ და გია ბერძენიძე – „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“.**

**„პატრიოტთა ალიანსში“ აცხადებენ, რომ სხვა პარტიებთან კონსულტაციისთვის მზად არიან, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან ასოცირებული პარტიებისა.**

**„ჩვენ წავედით იმ გზით, რომ გაგვეერთიანებინა ძალები. მოვუწოდებთ სხვა ოპოზიციურ ძალებსაც. რესპუბლიკური პარტია თან ხელისუფლებაშია და თან ოპოზიციაში და გამოვრიცხავთ. ჩვენ ვითანამშრომლებთ იმ პარტიებთან, ვისაც შეხება არ ჰქონია ნაციონალურ მოძრაობასთან“,** – განაცხადა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანმა ირმა ინაშვილმა“.

ნამდვილად არ ვიცი, თუ რის გამო გადადგეს ასეთი ნაბიჯი, რადგანაც ვერავინ იტყვის, რომ დაფინანსების ან ხმების მობილიზების გამო.

საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში არსებობდა არა მხოლოდ სიმპათია, არამედ მხარდაჭერის საკმაოდ ძლიერი მუხტი, მაგრამ ოდიოზური ფიგურების გამოჩენამ, რომლებიც ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტისთვის არამც თუ შენაძენს, არამედ უარყოფით ნიშანს წარმოადგენენ, ძალიან შეარყია პატრიოტთა ალიანსის მყარი და მზარდი პოზიცია. კიდევ არის რამდენიმე შეკითხვა, რაც საზოგადოებას ძალიან აინტერესებს და ვთხოვ ირმას, იქნებ გარკვეულწილად განმარტოს ასეთი სახის კოალიციის შექმნის მიზეზი (ცხადია, სრული, კულუარული ინფორმაცია არ ითქმება).

ნამდვილად არ მინდა, ჩემი შეფასებები გავაკეთო, რადგანაც დამერწმუნეთ, რომ ძალიან მკაცრი იქნება. ამიტომ მირჩევნია თავად „პატრიოტთა ალიანსისგან“ მოვისმინო გარკვეული განმარტებები და დასკვნები შემდეგ გამოვიტანო.

ჩემი აზრით, „პატრიოტთა ალიანსის“ ამ ნაბიჯმა ე.წ. „თავისუფალი ხმების“ გვარიანი რაოდენობა (დაახლოებით 65%), რომლის დიდი ნაწილის მიღება თავისუფლად შეეძლოთ, გადაანაწილა მეჭიაურსა და მემარცხენე ალიანსს შორის.

მემარცხენე ალიანსი, რომელიც ლეიბორისტულ პარტიას გამოეყო და არ დაგიმალავთ, რომ ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგეს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ გაერთიანებაში მყოფი პოლიტიკოსები, ლეიბორისტული „ალტყინებისგან“ განსხვავებით, მუდამ გამოირჩეოდნენ თავიანთი დახვეწილი შეფასებებით, აქვთ საკმაოდ დიდი პოტენციალი და ინტელექტი, რომელიც შესაბამისი აქტივობის შემთხვევაში ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას საკუთარ ნიშას შეუქმნის და მკვიდრ ადგილს მისცემს ქართულ პოლიტსტადიონზე.

მემარცხენე ალიანსის ხედვები, როგორც საგარეო, ასევე შიდა პრობლემების მიმართ, აბსოლუტურად მისაღებია საქართველოს მოსახლეობისთვის, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღეს მათი აქტივობა ძალიან მწირია. ეს ბევრი სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული: ნაკლები წვდომა საინფორმაციო საშუალებებთან, ფინანსები, რაც პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს (რეგიონალური ორგანიზაციების შექმნა, სხვადასხვა სახის აქციები, გასვლა მოსახლეობასთან, საინფორმაციო ბუკლეტები დ.ა.შ.).

რაც შეეხება ახლად შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებას – „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“: მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალა სულ რამდენიმე დღის შექმნილია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას მოსახლეობაში თავისი ნიშა უკვე უკავია.

ია მეტრეველი ფაქტობრივად სამართლიანობის აღდგენის სიმბოლოა. ლალი მოროშკინა სააკაშვილის წინააღმდეგ არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით იბრძვის, არამედ დასავლეთის გარკვეულ წრეებსაც აჩვენებს ყოფილი „პრეზიდენტის“ ნამდვილ სახეს (უკრაინასა და რუსეთზე აღარაფერს ვამბობ). რაც შეეხება გაერთიანების ლიდერს, თამაზ მეჭიაურს და სანდრო ბრეგაძეს, მათ თავიანთი ხისტი განცხადებებით იმ ძალების მიმართ, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას მანკიერ ნორმებს „ტენიან“ და ამას „დასავლური, ცივილიზებული ღირებულებების“ სახით ფუთავენ, საზოგადოებაში საკმაო სიმპათია დაიმსახურეს.

ჯერჯერობით მეტს აღარაფერს ვიტყვი, რადგანაც წინ საკმაოდ დიდი დროა და გვექნება საშუალება სათითაოდ განვიხილოთ ყველა მონაწილე სუბიექტი.

წერილის ბოლოს კი უნდა გითხრათ, რომ იმ ე.წ. „პოლიტიკანებზე“, რომლებიც რუსთავი 2-ის ეთერში, სანამ ოპერატორის კამერა მათს ფიზიონომიას აღნუსხავენ, თავს რესლინგის მებრძოლებივით იბრაზებენ, არაფერს დავწერ. არ დავწერ თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი გვარების ხელახლა ხსენება მკითხველში უარყოფით ემოციას გამოიწვევს, ხოლო უარყოფითი ემოციები სხვა სოციალურ-მატერიალური პრობლემებისგან არ გვაკლია.

დღეს ამით დაგემშვიდობებით და მომდევნო წერილში პოლიტსტადიონის „მთავარი მოთამაშეების“ ბოსტანში ვისვრი ერთ-ორ ქვას.

**გია გაბრიჭიძე**

**◎ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე**

# აბაშაში იგება გზები, შენდება ბაგა-ბაღები...

**აბაშის მუნიციპალიტეტში გზების აღდგენა-განახლება აქტიურად მიმდინარეობს.**

**ამ ეტაპისთვის დავით აღმაშენებლის II ჩიხის და სოფელ ნორიოში ქ. აბაშა-ჯაპანის შიდა სახელმწიფოებრივი გზის გადასახვევიდან ყოფილი ტრაქტორების სარემონტო ქარხნის მიმართულებით გზის მოასფალტების სამუშაოები გრძელდება. გზის სიგრძე 5,8 კილომეტრია. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 67 777 ლარია გამოყოფილი.**

აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები სოფელ ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალიდან (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) სოფელ ქოლობნის მიმართულებით გზის (სიგრძით 4635 მ.) ასფალტ-ბეტონით მოეწყობა, რომლისთვისაც 850 000 ლარია გამოყოფილი.

წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი გზის სარემონტო სამუშაოები გრძელდება სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. ილიას ქუჩიდან სოფ. ეწერის მიმართულებით (4,1 კმ) და სოფ. ნორიოს ცენტრიდან სოფ. საგვაზაოს მიმართულებით (1.3 კმ) გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოების ღირებულება 8 777 727 ლარია. სოფელ ეწერში დაგებული გზის ორივე მხარეს ასევე გაიწმინდება სანიაღვრე არხებიც.

უკვე დასრულდა მარანი-პირველი მაისი-გაუწყინარის გზის მოასფალტება. სამი სოფლის დამაკავშირებელი 4.3-კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცი 504 095 ლარით დაფინანსდა.

გარდა ამ უმნიშვნელოვანესი სამუშაოებისა, აბაშის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.


სოფელ გაუწყინარის ბაღის გახსნისას

**„მიმდინარე წელი ჩვენს მუნიციპალიტეტში, მართლაც რომ წარმატებების წელია! ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით იგება და წესრიგდება შიდა გზები. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ წელს 4 საბავშვო ბაღი გაიხსნა აბაშაში. ტყვირის, პირველი მაისის, გაუწყინარისა და სეფიეთის საბავშვო ბაღებში ბავშვები თანამედროვე მატერიალური და ზნეობრივი სტანდარტების შესაბამის გარემოში იზრდებიან. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობა დიდია და მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით“,** – ამბობს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, აბაშელებო!

**მაია ბზიავა,**
**აბაშიდან.**


სოფელ პირველი მაისის ბაღი



ახალი გზა ქოლობანში

# სულის ზეაღსვლა

## რევაზ სირაძე – 80



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების დადგენილებით, 2009 წლის 28 აპრილს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეულ იქნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რევაზ სირაძე**, რამაც ჩვენი აკადემიის დიდი სიხარული და მოწონება გამოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენი სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ბატონი რეზო 2012 წლის 9 სექტემბერს ტრაგიკულად დაიღუპა.

რევაზ სირაძის ამ ქვეყნიდან წასვლა მოულოდნელი და ძლიერი დარტყმა იყო ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის. დიდი და აუნაზღაურებელი იყო დანაკლისი. უძველესი და ბრწყინვალე ტრადიციების მქონე ეროვნულ ფილოლოგიას ბატონი რეზოს სახით ჰყავდა როგორც გამგრძელებელი, ისე შემფასებელი და ქომაგი, მისი მაღალი სულიერების ჭეშმარიტი მემკვიდრე.

რევაზ სირაძე იყო შთაგონებული მკვლევარი, შთაგონებული ლექტორი და შთაგონებული მასწავლებელი. მის შთაგონებას კვებავდა ღირსების მუდმივი გრძნობა ქართული მწიგნობრობის, ქართული მხატვრული სიტყვის, ქართული კულტურისა და, საერთოდ, მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოს გამო. მას უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა პოეტურად; ბავშვური გაკვირვებითა და აღტაცებით ხვდებოდა სიცოცხლის ნებისმიერ მაღალ გამოვლინებას, იქნებოდა ეს ინტელექტის, ზნეობისა თუ ესთეტიკის სფეროში; იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო მასავით სხვისი წარმატებითა თუ სიკეთით გახარება. თავიდანვე ასეთი იყო იგი და ბოლომდეც არ შეცვლილა, ასაკი არ დასტყობია, არ დაბერებულა. გადამდები იყო მისი სულიერი მხნეობა, ახალგაზრდული შემართება და, რაც მთავარია, უანგარო კეთილმოსურნეობა. ამიტომ ბატონი რეზოს მიმართ გულგრილი ვერ რჩებოდა ვერც კოლეგა და ვერც სტუდენტი. ის ყველას უყვარდა. მას უსმენდნენ. მის სიტყვას – ზეპირსა თუ დაბეჭდილს – კეთილმყოფელი გავლენა ჰქონდა გარემოზე.

რევაზ სირაძე დაიბადა 1936 წელს ქ. მახარაძეში (ოზურგეთი), პედაგოგთა ოჯახში. მან ოქროს მედალზე დაამთავრა მახარაძის პირველი საშუალო სკოლა.

1954-1959 წწ. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატი. წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტი და ჩაირიცხა თსუ-ს ასპირანტურაში. ასპირანტურის კურსი გაიარა აკად. კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ხელმძღ. აკად. კ. კეკელიძე და აკად. ალ ბარამიძე), რომელიც 1975 წელს დაიბეჭდა ცალკე მონოგრაფიად – „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები“. 1976 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას – „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან (V-XIII სს.)“, რომელიც პირველწყაროებზე დაყრდნობითა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (ქართული, რუსული, დასავლეთევროპული) გამოყენებით შეიქმნა და 1978 წელს წიგნად დაიბეჭდა. როგორც ამ ნაშრომთა სათაურებიდანაც კარგად ჩანს, ისინი მიემართება რამდენიმე სფეროს, მათ შორის უმთავრესია ძველი და აგრეთვე ახალი და უახლესი ქართული პროზაული და პოეტური თხზულებების შესწავლა, მათი მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უახლესი ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციებისა და პრინციპების კვლევა. ფაქტობრივად, სადოქტორო დისერტაციაშია პირველად წარმოდგენილი ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია. რ. სირაძის ნარკვევი შუასაუკუნეობრივ ქართულ ესთეტიკაზე შესულია მსოფლიო ესთეტიკური აზრის ისტორიის ოთხტომეულის პირველ ტომში (“История эстетической мысли“, Т. I, 1985).

1973-1974 წწ. აკად. ა. შანიძისა და თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის რეკომენდაციით რ. სირაძე მივლინებული იყო ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრის ისტორიის შესასწავლად. მან იქ გამოავლინა უცნობი ქართული წარწერები, ჩვენი მეცნიერებისათვის მანამდე უცხო მასალები ბულგარელი კუროპალატის სუმბათ-საბა ბაკურიანის შესახებ; იოანე-ზოსიმეს „ქებაისთვის“ ყველაზე უფრო შედარებადი ჩერნორიზეც ხრაბრის „ასოთათვის, რომელიც მან ქართულად თარგმნა და გააანალიზა. ამ მივლინების შედეგები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულსა და ბულგარულ ენებზე, მათ შორის მეტად საინტერესო გამოკვლევებში: „ივირონი და პეტრიწონი“, „ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“, „Новооткпытая древнегруззинская надпись из Костницы Бачковского монастыря“ და სხვ. მან ლექციათა ციკლიც წაიკითხა სოფიის უნივერსიტეტში.

რევაზ სირაძე 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის, 14 წიგნის, მათ შორის 5 მონოგრაფიის ავტორია. ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ბულგარულ და იტალიურ ენებზე. მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში მოხსენებებით თბილისში, მოსკოვში, სოფიაში, ფინეთში, სანკტ-პეტერბურგში, პარიზში – (იუნესკოში). მას აღიარებდა საერთაშორისო ფილოლოგიური საზოგადოებრიობა, რომლის არაერთ წარმომადგენელთან ჰქონდა კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობა, საერთო სამეცნიერო ინტერესები.

ბატონ რ. სირაძეს ფართო სამსახურებრივი გამოცდილება ჰქონდა. იგი 1968 წლიდან დოცენტი, ხოლო 1978 წლიდან თსუ ჯერ ფილოლოგიისა და შემდეგ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი იყო; 2006 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ხელმძღვანელობდა. ლექციებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე, ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სამხატვრო აკადემიაში.

მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 11 საკანდიდატო დისერტაცია; იყო 17 სადოქტორო და 10 საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი და სხვა.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ რევაზ სირაძის, როგორც ადამიანისა და როგორც მეცნიერის, ერთი გამორჩეული თვისება იყო აზროვნების წესი – პატიოსანი აზროვნების წესი, რაც არცთუ ხშირი მოვლენაა (პატიოსნობით ცნობილ ადამიანებშიც კი), მაგრამ ყველგან ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტზე მუშაობისას, როცა სისრულეზე მეტად გაგების სიწმინდე და სიღრმე ფასობს. სწორედ ამ წვდომითა და გაგებით, აღქმის სიცხოველითაა აღბეჭდილი მხატვრულ ნაწაროებთა მისეული ანალიზი და შეფასება. რაგინდარა რანგის მწერალი თუ პოეტი, რაგინდარა ქვეყანაში ინატრებდა სხვისაგან თავისი შემოქმედების ისეთ გაგება-განმარტებას, როგორიც რევაზ სირაძემ წარმოადგინა დავით გურამიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, რევაზ ინანიშვილის, ნიკო სამადაშვილის, ბესიკ ხარანაულის, აკა მორჩილაძის შესახებ დაწერილ ესეებში, ჩვენს უძველეს მწერლობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველი ეს ნაშრომი ნამდვილი კულტუროლოგიური გამოკვლევაა უახლესი პარადიგმის ტერმინოლოგიური მნიშვნელობით. ახლებურად, ხშირად სხვათაგან განსხვავებულად, იაზრებდა რევაზ სირაძე დღევანდელ მწერლობასაც და ძველსაც. აქ ყველგან ახლებური ცნობიერება ჩანს სრულიად ორგანული, ბუნებრივი და თავისუფალი, სხვათა შორის, თავისუფალი საიდანღაც თავსმოხვეული მოდური, უსიცოცხლო სქემებისა და მოდელებისგან, რომელთა მორგება, ფაქტობრივად, ტექსტის თვითმყოფადობის ნიველირება და მისი ავთენტურობის წაშლაა, რაც მიუღებული იყო მუდამ სიახლისა და მეცნიერული ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრისათვის.

რევაზ სირაძემ ნაყოფიერი და ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა. იგი ბედნიერი იყო იმითაც, რომ ემსახურებოდა საქმეს, რომელიც ძალიან უყვარდა, რომელიც ძალიან კარგად გამოსდიოდა. ხალასი ნიჭიერებითა და თავდაუზოგავი შრომით მან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში. მას დარჩა დაუსრულებელი ზოგი ნაშრომი, განუხორციელებელი – ზოგი პროექტი, როგორც ხდება ხოლმე, როცა სიცოცხლე უეცრად და დაუნდობლად წყდება. ჩვენთვის, კაცთათვის, უკიდურესად ტრაგიკული და თან აბსურდულია რევაზ სირაძის ამგვარი წასვლა, მაგრამ ყველაფერი ეს იმ განსაცდელს ხომ არ ჰგავს, უფალი რომ მოუვლენს იმათ, ვინც მართლაც რომ უყვარს, მათ მოთმინებას რომ გამოცდის ხოლმე? გვგონია, არის რაღაც პასუხი სერგეი ავერინცევის ერთი იმ ლექსის ტაეპებში, ბატონმა რეზომ რომ შესანიშნავად თარგმნა:

წინასწარმეტყველი ხომ სვამდა კითხვას:  
ცეცხლთა გზნებასა ვინ დაითმენსო?  
ან: ვინ დაითმენს მცხუნვარებასა  
სულის ზეაღსვლის? – უცოდველიო.

ალბათ, სულის ზეაღსვლის მცხუნვარება იყო ცეცხლთა ის გზნება, ძვირფასი ადამიანი რომ წარგვტაცა. მან კი პირდაპირ, ვაი რომ არა მხოლოდ მეტაფორულად, დაითმინა ყოველი, დაითმინა, რადგან ცისა და მიწის წინაშე უცოდველი და ვალმოხდილი იყო.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**

**ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება**

# ახალი მინისტრი და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პრეზენტაცია გამართა. ღონისძიება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გახსნა. რევიზირებული ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეებსა და პრიორიტეტებზე მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა ნათია ჯოხაძემ ვრცლად ისაუბრეს.

უწყებაში განმარტავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც საბაზისო დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ რა, როდის, და როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. დოკუმენტი პერიოდულ განახლებას მოითხოვს, ვინაიდან მასში უნდა აისახოს, როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგების საჭიროებები, ისე საერთაშორისო პრაქტიკა, განათლების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები. განათლების რეფორმების დაწყებიდან დღემდე უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შემუშავდა, მისი დანერგვა დაწყებითი საფეხურით (I-VI კლასები) დაიწყება და მოქმედების ვადა 2017-2023 წლებით განისაზღვრება.

ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიას წინ უძღოდა მრავალმხრივი წინამოსამზადებელი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით: ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი დაწყებით საფეხურზე; სახელმძღვანელოების ხარვეზების შესწავლა; სკოლებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციიდან შემოსული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების ანალიზი; სკოლების საგნობრივ კათედრებთან შეხვედრების ანალიზი; საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა (7 განვითარებული ქვეყნის სასწავლო გეგმების შესწავლა და შედარება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან); დეპარტამენტის ექსპერტებისა და პროცესში ჩართული მოქმედი პედაგოგების პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინება; სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ანალიზი.




# თბილისის მერიის საგანგებო განცხადება პენსიონერთა საყურადღებოდ!

**თბილისის** მერიის მიერ დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებას გაცემის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის თქმით, გასული კვირის ბოლოდან ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით, თბილისის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები პენსიონერებისგან ასეულობით განცხადება შემოდის. მაშინ როდესაც, მისივე თქმით, წინა თვეებში მატერიალური დახმარების თხოვნით დღეში 60-70 განცხადება ფიქსირდებოდა, ბოლო სამი დღის განმავლობაში, ეს რიცხვი დღეში 200-ს აჭარბებს.

თბილისის მერიის მიერ 7 ივნისს გავრცელებული განცხადების მიუხედავად, იმის თაობაზე, რომ მერია პენსიონერებისთვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას არ გასცემდა, ბოლო სამ დღეში, ამ კატეგორიის მოსახლეობისგან 500-ზე მეტი განცხადება შემოვიდა.

თბილისის მერია აღნიშნულ ფაქტს დეზინფორმაციას და მიზანმიმართულ კამპანიას უწოდებს და მოსახლეობას სთხოვს, არ აჰყვეს ცრუ ინფორმაციას.

# მოსახლეობას „უიმედო ვალები“ ჩამოეჭრება

**პარლამენტმა** მესამე მოსმენით 80 ხმით არც ერთის წინააღმდეგ დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც უიმედო ვალების პატიებას გულისხმობს. თავისუფალი დემოკრატების მიერ მომზადებული კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეები უიმედო სესხისა და სანქციების დაფარვის ვალდებულებისგან გათავისუფლდებიან, თუ ისინი ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ შიდა კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ.

კანონპროექტის ინიციატორის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, კანონპროექტის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტები იმ გადასახადისგან გათავისუფლდებიან, რაც უიმედო ვალების აღიარებასთან არის დაკავშირებული. კანონპროექტის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილი იქნება აღნიშნული სასესხო ვალდებულების ღირებულება გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან. ამასთან, ამ ვალდებულების ღირებულება ფინანსური ინსტიტუტის მიერ ერთობლივ შემოსავალში ჩართვას არ დაექვემდებარება.

მკითხველის თხოვნით

# ერთთვიანი საფეხბურთო ზეი-

დღეს საფრანგეთისა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩით გალების ქვეყანაში სტარტს აიღებს ფეხბურთელთა საიუბილეო – XV ევროპული ფორუმი.

დამდეგი ჩემპიონატის ქვეჯგუფებს, კალენდარსა და მონაწილეთა შემადგენლობებს ქვემოთ გაეცნობით, ახლა კი, მოდით, განვლილი ტურნირების გამარჯვებულნი გავიხსენოთ.

ესპანეთი, გერმანია – 3-3, საფრანგეთი – 2, საბჭოთა კავშირი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, დანია. საბერძნეთი.

დავძენთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები ყველა შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს შემოგვთავაზებენ.

## A ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | | | | | | |
| რუმინეთი | | | | | | | |
| ალბანეთი | | | | | | | |
| შვეიცარია | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 10.06. 23:00სთ. | საფრანგეთი - რუმინეთი | სენ დენი |
| 11.06. 17:00სთ. | ალბანეთი - შვეიცარია | ლანსი |
| 15.06. 20:00სთ. | რუმინეთი - შვეიცარია | პარიზი |
| 15.06. 23:00სთ. | საფრანგეთი - ალბანეთი | მარსელი |
| 19.06. 23:00სთ. | შვეიცარია - საფრანგეთი | ლილი |
| 19.06. 23:00სთ. | რუმინეთი - ალბანეთი | ლიონი |

## B ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | | | | |
| რუსეთი | | | | | | | |
| უელსი | | | | | | | |
| სლოვაკეთი | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 11.06. 20:00სთ. | უელსი - სლოვაკეთი | ბორდო |
| 11.06. 23:00სთ. | ინგლისი - რუსეთი | მარსელი |
| 15.06. 17:00სთ. | რუსეთი - სლოვაკეთი | ლილი |
| 16.06. 17:00სთ. | ინგლისი - უელსი | ლანსი |
| 20.06. 23:00სთ. | სლოვაკეთი - ინგლისი | სენტ ეტიენი |
| 20.06. 23:00სთ. | რუსეთი - უელსი | ტულუზა |

## C ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | | | | | | |
| უკრაინა | | | | | | | |
| პოლონეთი | | | | | | | |
| ჩრ.ირლანდია | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 12.06. 20:00სთ. | პოლონეთი - ჩრდ.ირლანდია | ნიცა |
| 12.06. 23:00სთ. | გერმანია - უკრაინა | ლილი |
| 16.06. 20:00სთ. | უკრაინა - ჩრდ.ირლანდია | ლიონი |
| 16.06. 23:00სთ. | გერმანია - პოლონეთი | სენ დენი |
| 21.06. 20:00სთ. | უკრაინა - პოლონეთი | მარსელი |
| 21.06. 20:00სთ. | ჩრდ.ირლანდია - გერმანია | პარიზი |

## D ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | | | | | | |
| ჩეხეთი | | | | | | | |
| თურქეთი | | | | | | | |
| ხორვატია | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 12.06. 17:00სთ. | თურქეთი - ხორვატია | პარიზი |
| 13.06. 17:00სთ. | ესპანეთი - ჩეხეთი | ტულუზა |
| 17.06. 20:00სთ. | ჩეხეთი - ხორვატია | სენტ ეტიენი |
| 17.06. 23:00სთ. | ესპანეთი - თურქეთი | ნიცა |
| 21.06. 23:00სთ. | ხორვატია - ესპანეთი | ბორდო |
| 21.06. 23:00სთ. | ჩეხეთი - თურქეთი | ლანსი |

## E ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | | | | | | | |
| იტალია | | | | | | | |
| ირლანდია | | | | | | | |
| შვედეთი | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 13.06. 20:00სთ. | ირლანდია - შვედეთი | სენ დენი |
| 13.06. 23:00სთ. | ბელგია - იტალია | ლიონი |
| 17.06. 17:00სთ. | იტალია - შვედეთი | ტულუზა |
| 18.06. 17:00სთ. | ბელგია - ირლანდია | ბორდო |
| 22.06. 23:00სთ. | იტალია - ირლანდია | ლილი |
| 22.06. 23:00სთ. | შვედეთი - ბელგია | ნიცა |

## F ჯგუფი

| | | | | | ბ. | ქ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | | | | | | | |
| ისლანდია | | | | | | | |
| ავსტრია | | | | | | | |
| უნგრეთი | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| 14.06. 20:00სთ. | ავსტრია - უნგრეთი | ბორდო |
| 14.06. 23:00სთ. | პორტუგალია - ისლანდია | სენტ ეტიენი |
| 18.06. 20:00სთ. | ისლანდია - უნგრეთი | მარსელი |
| 18.06. 23:00სთ. | პორტუგალია - ავსტრია | პარიზი |
| 22.06. 20:00სთ. | უნგრეთი - პორტუგალია | ლიონი |
| 22.06. 20:00სთ. | ისლანდია - ავსტრია | სენ დენი |

## მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| (1). 25 ივნისი | 17:00სთ. | A2-C2 | სენტ-ეტიენი |
| (3). 25 ივნისი | 20:00სთ. | B1-A3/C3/D3 | პარიზი |
| (2). 25 ივნისი | 23:00სთ. | D1-B3/E3/F3 | ლანსი |
| (7). 26 ივნისი | 17:00სთ. | A1-C3/D3/E3 | ლიონი |
| (5). 26 ივნისი | 20:00სთ. | C1-A3/B3/F3 | ლილი |
| (4). 26 ივნისი | 23:00სთ. | F1-E2 | ტულუზა |
| (6). 27 ივნისი | 20:00სთ. | E1-D2 | სენ დენი |
| (8). 27 ივნისი | 23:00სთ. | B2-F2 | ნიცა |

## მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| (1). 30 ივნისი | 23:00სთ. | 1-გამარჯ - 2-გამარჯ | მარსელი |
| (2). 1 ივლისი | 23:00სთ. | 3-გამარჯ - 4-გამარჯ | ლილი |
| (3). 2 ივლისი | 23:00სთ. | 5-გამარჯ - 6-გამარჯ | ბორდო |
| (4). 3 ივლისი | 23:00სთ. | 7-გამარჯ - 8-გამარჯ | სენ დენი |

## ნახევარფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ივლისი | 23:00სთ. | 1-გამარჯ - 2-გამარჯ | ლიონი |
| 7 ივლისი | 23:00სთ. | 3-გამარჯ - 4-გამარჯ | მარსელი |

## ფინალი 10 ივლისი

*23:00 სთ. სენ დენი „სტად დე ფრანსი“*




## C ჯგუფი

### გერმანია

***მეკარეები:*** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), მარკ ანდრე ტერ შტეგენი (ბარსელონა, ესპანეთი), ბერნდ ლენო (ლევერკუზენი)

***მცველები:*** შკორდან მუსტაფი (ვალენსია, ესპანეთი), იონას ჰექტორი (კიოლნი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მატს ჰუმელსი (ბაიერნი), ემრე ჩანი (ლივერპული, ინგლისი), ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ჯონათან ტაჰი (ლევერკუზენი)

***ნახევარმცველები:*** სამი ხედირა (იუვენტუსი, იტალია), ბასტიან შვაინშტაიგერი (მანჩესტერი, ინგლისი), მესუთ იოზილი (არსენალი, ინგლისი), ანდრე შურლე (ვოლფსბურგი), ტონი კროოსი (რეალი, ესპანეთი), მარიო გიოტცე (ბაიერნი), იულიან დრაქსლერი (ვოლფსბურგი), ჯოშუა კიმიხი (ბაიერნი), იულიან ვეიგლი (დორტმუნდი)

***თავდამსხმელები:*** ტომას მიულერი (ბაიერნი), მარიო გომესი (ბეშიქთაში, თურქეთი), ლუკას პოდოლსკი (გალათასარაი, თურქეთი), ლეროი სანე (შალკე)

***მთავარი მწვრთნელი:*** იოაჰიმ ლიოვი

### უკრაინა

***მეკარეები:*** ანდრეი პიატოვი (შახტარი), დენის ბოიკო (ბეშიქთაში, თურქეთი), მიკიტა შევჩენკო (ზორია)

***მცველები:*** არტიომ ფედეცკი (დნიპრო), ვიაჩესლავ შევჩუკი, ალექსანდრ კუჩერი, იაროსლავ რაკიცკი, ბოგდან ბუტკო (ყველა შახტარი), ევგენი ხაჩერიდი (დინამო კ.)

***ნახევარმცველები:*** ანდრეი იარმოლენკო, დენის გარმაში, სერგეი რიბალკა, სერგეი სიდორჩუკი (ყველა დინამო კ.), რუსლან როტანი (დნიპრო), ტარას სტეპანენკო, ვიქტორ კოვალენკო (შახტარი), ალექსანდრ კარავაევი (ზარია), ანატოლი ტიმოშჩუკი (ქაირათი, ყაზახეთი), ევგენი კონოპლიანკა (სევილია, ესპანეთი), ალექსანდრ ზინჩენკო (უფა, რუსეთი)

***თავდამსხმელები:*** რომან ზოზულია (დნიპრო), რულუპ ბუდკივსკი (ზარია), ევგენი სელეზნიოვი (შახტარი)

***მთავარი მწვრთნელი:*** მიხაილ ფომენკო

### პოლონეთი

***მეკარეები:*** არტურ ბორუცი (ბორნმუთი, ინგლისი), ვოიცეხ შჩესნი (რომა, იტალია), ლუკაშ ფაბიანსკი (სუონსი, ინგლისი)

***მცველები:*** ტიაგო სიონეკი (მოდენა, იტალია), კამილ გლიკი (ტორინო, იტალია), არტურ ენჟეიჩიკი (კრასნოდარი, რუსეთი), ლუკაშ პიშჩაკი (დორტმუნდი, გერმანია), მიხალ პაზდანი (ლეგია), ბარტოშ სალამონი (კალიარი, იტალია), იაკუბ ვავჟინიაკი (ლეხია)

***ნახევარმცველები:*** იაკუბ ბლაჟიკოვსკი (ფიორენტინა, იტალია), ტომაშ იოდლოვეცი (ლეგია), ბარტოშ კაპუსტკა (კრაკოვია), გჟეგოჟ კრიხოვიაკი (სევილია, ესპანეთი), კაროლ ლინეტი (ლეხი), კშიშტოფ მანჩინსკი (ვისლა), სლავომირ პეშკო (კიოლნი, გერმანია), ფილიპ სტარჟინსკი (ზაგლებიე), პიოტრ ზიელინსკი (ემპოლი, იტალია)

***თავდამსხმელები:*** რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი, გერმანია), არკადიუშ მილიკი (აიაქსი, ჰოლანდია), მარიუშ სტეპინსკი (ნიურნბერგი, გერმანია), კამილ გროსიცკი (რენი, საფრანგეთი)

***მთავარი მწვრთნელი:*** ადამ ნავალკა

### ჩრდილოეთ ირლანდია

***მეკარეები:*** ალან მანუსი (სტ ჯონსტონი, შოტლანდია), მაიკლ მაკგოვერნი (ჰამილტონი, შოტლანდია), როი კეროლი (ნოთი, ინგლისი)

***მცველები:*** კრეიგ კეჩკარტი (უოტფორდი, ინგლისი), ჯონი ევანსი, გარეტ მაკაული (ორივე ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ლუკ მაკალოქსი (დონკასტერი, ინგლისი), კონორ მაკლაფლინი (ფლიტვუდი, ინგლისი), ლი ჰოდსონი (დონსი, ინგლისი), აარონ ჰიუზი (მელბურნი, ავსტრალია), პედი მაკნირი (მანჩესტერი), კრის ბეირდი (ფულემი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** სტივენ დევისი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ოლივერ ნორვუდი (რედინგი, ინგლისი), კორი ევანსი (ბლექბერნი, ინგლისი), შეინ ფერგიუსონი (მილუოლი, ინგლისი), სტიუარტ დალასი (ლიდსი, ინგლისი), ნაიალ მაკგინი (აბერდინი, შოტლანდია), ჯეიმი უორდი (ნოტინგემი, ინგლისი), ჯოშ მაჯენისი (კილმარნოკი, შოტლანდია)

***თავდამსხმელები:*** კაილ ლაფერტი (ბირმინგემი, ინგლისი), კონორ ვაშინგტონი (ქუინს პარკ რეინჯერსი, ინგლისი), უილ გრიგი (უიგანი, ინგლისი)

***მთავარი მწვრთნელი:*** მაიკლ ონილი

## D ჯგუფი

### ესპანეთი

***მეკარეები:*** იკერ კასილიასი (პორტუ, პორტუგალია), დავიდ დე ხეა (მანჩესტერი, ინგლისი), სერხიო რიკო (სევილია)

***მცველები:*** სერხიო რამოსი (რეალი), ხერარდ პიკე, ხორდი ალბა, მარკ ბარტრა (ყველა ბარსელონა), ხუანფრანი (ატლეტიკო), სესარ ასპილიკუეტა (ჩელსი, ინგლისი), მიკელ სან ხოსე (ბილბაო), ექტორ ბელერინი (არსენალი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** ბრუნო სორიანო (ვილიარეალი), სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), კოკე (ატლეტიკო), ტიაგო ალკანტარა (ბაიერნი, გერმანია), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), დავიდ სილვა (სიტი, ინგლისი), პედრო როდრიგესი (ჩელსი, ინგლისი), სესკ ფაბრეგასი (ჩელსი, ინგლისი), ლუკას ვასკესი (რეალი)

***თავდამსხმელები:*** არიც ადურისი (ბილბაო), ნოლიტო (სელტა), ალვარო მორატა (იუვენტუსი, იტალია)

***მთავარი მწვრთნელი:*** ვისენტე დელ ბოსკე

### ჩეხეთი

***მეკარეები:*** პეტრ ჩეხი (არსენალი, ინგლისი), ტომაშ ვაცლიკი (ბაზელი, შვეიცარია), ტომაშ კუბეკი (ლობერეცი)

***მცველები:*** თეოდორ სელასიე (ვერდერი, გერმანია), რომან გუბნიკი (პლზენი), პაველ კადერაბეკი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), მიხალ კადლეცი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), დავიდ ლიმბერსკი (პლზენი), დანიელ პუდილი (შეფილდი, ინგლისი), მარეკ სუჩი (ბაზელი, შვეიცარია), ტომაშ სივოკი (ბურსასპორი, თურქეთი)

***ნახევარმცველები:*** ვლადიმირ დარიდა (ჰერტა, გერმანია), ბორეკ დოჩკალი (სპარტა), დანიელ კოლარი (პლზენი), ლადისლავ კრეიჩი (სპარტა), დავიდ პაველკა (ქასიმფაშა, თურქეთი), იაროსლავ პლაშილი (ბორდო, საფრანგეთი), ტომაშ როსიცკი (არსენალი, ინგლისი), ირჟი სკალაკი (ბრაიტონი, ინგლისი), იოსიფ შურალი (სპარტა)

***თავდამსხმელები:*** დავიდ ლაფატა (სპარტა), ტომაშ ნეციდი (ბურსასპორი, თურქეთი), მილან შკოდა (სლავია)

***მთავარი მწვრთნელი:*** პაველ ვრბა

### თურქეთი

***მეკარეები:*** ჰარუნ თექინი (ბურსასპორი), ონურ კივრაკი (ტრაბზონსპორი), ვოლკან ბაბაჩანი (ბაშაქშეჰირი)

***მცველები:*** გოკჰან გონულული, შენერ ეზბაირაკლი (ორივე ფენერბაჰჩე), აჰმეტ ჩალიკი (გენჩლერი), ჰაკან ბალტა (გალათასარაი), მეჰმეთ ტოპალი (ფენერბაჰჩე), სემიჰ კაია (გალათასარაი), ჯანერ ერკინი (ფენერბაჰჩე), ისმაილ ქეიბაში (ბეშიქთაში)

***ნახევარმცველები:*** ემრე მორი (ნორდშელანდი, ნორვეგია), ვოლკან შენი (ფენერბაჰჩე), ჰაკან ჩალჰანოღლუ (ლევერკუზენი, გერმანია), ნური შაჰინი (დორტმუნდი, გერმანია), ოღუზჰან ეზიაკუპი (ბეშიქთაში), ოზან თუფანი (ფენერბაჰჩე), სელჩუკ ინანი (გალათასარაი), არდა თურანი (ბარსელონა, ესპანეთი), ოლჯაი შაჰანი (ბეშიქთაში)

***თავდამსხმელები:*** ბურაქ ილმაზი (ბეიჯინ გოანი, ჩინეთი), ჯენკ თოსუნი (ბეშიქთაში), იუნუს მალი (მაინცი, გერმანია)

***მთავარი მწვრთნელი:*** ფატიჰ თერიმი

### ხორვატია

***მეკარეები:*** ლოვრე კალინიჩი (ჰაიდუკი), დანიელ შუბაშიჩი (მონაკო, საფრანგეთი), ივან ვარგიჩი (რიეკა)

***მცველები:*** დარიო სრნა (შახტარი, უკრაინა), ვედრან ჩორლუკა (ლოკომოტივი, რუსეთი), სიმე ვრსალიკო (სასუოლო, იტალია), დომაგოი ვიდა (დინამო კ., უკრაინა), ივან სტრინიჩი (ნაპოლი, იტალია), გორდონ შილდენფელდი (დინამო ზ.), ტინ იედვაი (ლევერკუზენი, გერმანია)

***ნახევარმცველები:*** ივან რაკიტიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), ლუკა მოდრიჩი, მატეო კოვაჩიჩი (ორივე რეალი, ესპანეთი), მილან ბადელი (ფიორენტინა, იტალია), ივან პერიშიჩი, მარსელო ბროზოვიჩი (ორივე ინტერი, იტალია), მარკო როგი, ანტე კორიჩი (ორივე დინამო ზ.)

***თავდამსხმელები:*** მარიო მანჯუკიჩი (იუვენტუსი, იტალია), ნიკოლა კალინიჩი (ფიორენტინა, იტალია), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), დუჟე ჩოპი (მალაგა, ესპანეთი), მარკო პიაცა (დინამო ზ.)

***მთავარი მწვრთნელი:*** ანტე ჩაჩიჩი

## A ჯგუფი

### საფრანგეთი

***მეკარეები:*** უგო ლორისი (ტოტენჰემი, ინგლისი), სტივ მანდანდა (მარსელი), ბენუა კოსტილი (რენი)

***მცველები:*** ადილ რამი (სევილია, ესპანეთი), ლორან კოსიელნი (არსენალი, ინგლისი), ელიაკიმ მანგალა, ბაკარი სანია (ორივე მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სამუელ უმტიტი (ლიონი), პატრის ევრა (იუვენტუსი, იტალია), კრისტოფ ჟალე (ლიონი), ლუკას დინიე (რომა, იტალია)

***ნახევარმცველები:*** იოაჰ კაბაიე (კრ. პალასი, ინგლისი), ნგოლო კანტე (ლესტერი, ინგლისი), ბლეზ მატუიდი (პსჟ), მუსა სისოკო (ნიუკასლი, ინგლისი), მორგან შნეიდერლინი (მანჩესტერი, ინგლისი), პოლ პოგბა (იუვენტუსი, იტალია)

***თავდამსხმელები:*** ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო, ესპანეთი), დიმიტრი პაიე (ვესტ ჰემი, ინგლისი), ენტონი მარსიალი (მანჩესტერი, ინგლისი), კინგსლი კომანი (ბაიერნი, გერმანია), ოლივიე ჟირუ (არსენალი, ინგლისი), ანდრე პიერ ჟინიაკი (ტიგრესი, მექსიკა)

***მთავარი მწვრთნელი:*** დიდიე დეშამი

### რუმინეთი

***მეკარეები:*** ჩიპრიან ტატარუსანუ (ფიორენტინა, იტალია), კოსტელ პანტილიმონი (უოტფორდი, ინგლისი), სილვიუ ლუნგი (ასტრა)

***მცველები:*** კრისტიან სეპუნარუ (პანდური), ალექსანდრ მეცელი (დინამო ზ., ხორვატია), ვლად კირიკესი (ნაპოლი, იტალია), ვალერიკ გემანი (ასტრა), კოზმინ მოცი (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), დრაგოში გრიგორიე (ალ საილია, ყატარი), რაზვან რაცი (რაიო, ესპანეთი), სტელიან ფილიპი (დინამო)

***ნახევარმცველები:*** ნიკოლაე სტანჩუ, ალექსანდრ კიპჩუ, ადრიან პოპა, მიხაი პინცილი (ყველა სტიაუა), ოვიდიუ ჰობანი (ჰაპოელი თ-ავ., ისრაელი), ანდრეი პრეპელიცე (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), გაბრიელ ტორიე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლუჩან სენმერტიანი (ალ იტიჰადი, საუდის არაბეთი)

***თავდამსხმელები:*** კლაუდიო კეშერუ (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), ბოგდან სტანჩუ (გენჩლერი, თურქეთი), ფლორიან ანდონი (კორდობა, ესპანეთი), დენის ალიბეკი (ასტრა)

***მთავარი მწვრთნელი:*** ანგელ იორდანესკუ

### ალბანეთი

***მეკარეები:*** ეტრიტ ბერიშა (ლაციო, იტალია), ალბან ჰოჯა (პარტიზანი, სერბეთი), ორგეს შეჰი (შკენდერბიუ)

***მცველები:*** ლორიკ სანა (ნანტი, საფრანგეთი), არლინდ აჯეტი (ფროსინონე, იტალია), მერგიმ მავრაი (კიოლნი, გერმანია), ელსეიდ ჰისაი (ნაპოლი, იტალია), ანსი აგოლი (ყარაბახი, აზერბაიჯანი), ფრედერიკ ვესელი (ლუგანო, შვეიცარია), ნასერ ალიჯი (ბაზელი, შვეიცარია), ანდი ლილა (იანინა, საბერძნეთი)

***ნახევარმცველები:*** ლედიან მემუშაი (პესკარა, იტალია), ერგიუს კაჩე (პაოკ, საბერძნეთი), მიგენ ბაშა (კომო, იტალია), ოდისე როში (რიეკა, ხორვატია), ბურიმ კუკელი (ციურიხი, შვეიცარია), ერმინ ლენიანი (ნანტი, საფრანგეთი), ტაულან ქსაკა (ბაზელი, შვეიცარია), ამირ აბრაში (ფრაიბურგი, გერმანია)

***თავდამსხმელები:*** ბექიმ ბალა (რიეკა, ხორვატია), სოკოლ ციკალეში (ბაშაკშეჰირი, თურქეთი), არმანდო სადიკუ (ვადუცი, ლიხტენშტეინი), შკელზენ გაში (კოლორადო რეპიდსი, აშშ)

***მთავარი მწვრთნელი:*** ჯანი დე ბიაზი

### შვეიცარია

***მეკარეები:*** რომან ბიურკი (დორტმუნდი, გერმანია), მარვინ ჰიტცი (აუგსბურგი, გერმანია), იან სომერი (გლადბახი, გერმანია)

***მცველები:*** იოან ჯურუ (ჰამბურგი, გერმანია), ნიკო ელვედი (გლადბახი, გერმანია), მიხაელ ლანგი (ბაზელი), შტეფან ლიხტშტაინერი (იუვენტუსი, იტალია), ჟაკ ფრანსუა მუბანჟე (ტულუზა, საფრანგეთი), რიკარდო როდრიგესი (ვოლფსბურგი, გერმანია), ფაბიან შერი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), სტივ ფონ ბერგენი (იანგ ბოიზი)

***ნახევარმცველები:*** დენის ზაკარია (იანგ ბოიზი), გრანიტ ჯაკა (არსენალი, ინგლისი), შერდან შაქირი (სტოკ სიტი, ინგლისი), ფაბიან ფრეი (მაინცი, გერმანია), გელსონ ფერნანდესი (რენი, საფრანგეთი), ბლერიმ ძემაილი (ჯენოა, იტალია), ვალონ ბეჰრამი (უოტფორდი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** ადმირ მეჰმედი (ლევერკუზენი, გერმანია), ჰარის სეფეროვიჩი (აინტრახტი, გერმანია), შანი ტარაშაი (გრასჰოპერსი), ბრელ ემბოლო (ბაზელი), ერენ დერდიოკი (ქასიმფაშა, თურქეთი)

***მთავარი მწვრთნელი:*** ვლადიმირ პეტკოვიჩი

## B ჯგუფი

### ინგლისი

***მეკარეები:*** ჯო ჰარტი (სიტი), ტომას ჰატონი (ბარნლი), ფრეიზერ ფორსტერი (საუთჰემპტონი)

***მცველები:*** რაიან ბერტრანდი (საუთჰემპტონი), გარი კეჰილი (ჩელსი), ნათანიელ კლაინი (ლივერპული), დენი როუზი, კაილ უოლკერი (ორივე ტოტენჰემი), კრის სმოლინგი (მანჩესტერი), ჯონ სტოუნსი (ევერტონი)

***ნახევარმცველები:*** დელე ალი (ტოტენჰემი), როს ბარკლი (ევერტონი), ერიკ დაიერი (ტოტენჰემი), ჯორდან ჰენდერსონი, ადამ ლალანა, ჯეიმს მილნერი (ყველა ლივერპული), რაჰიმ სტერლინგი (სიტი), ჯეკ უილშირი (არსენალი)

***თავდამსხმელები:*** ჰარი კეინი (ტოტენჰემი), უეინ რუნი (მანჩესტერი), დანიელ სტარიჯი (ლივერპული), ჯეიმი ვარდი (ლესტერი), მარკუს რეშფორდი (მანჩესტერი)

***მთავარი მწვრთნელი:*** როი ჰოჯსონი

### რუსეთი

***მეკარეები:*** იგორ აკინფეევი (ცსკა), მარინატო გილერმე (ლოკომოტივი), იური ლოდიგინი (ზენიტი)

***მცველები:*** ალექსეი ბერეზუცკი, სერგეი იგნაშევიჩი, გეორგი შენნიკოვი (ყველა ცსკა), დმიტრი კომბაროვი (სპარტაკი), რომან ნოიშტადტერი (შალკე, გერმანია), იგორ სმოლნიკოვი (ზენიტი), რომან შიშკინი (ლოკომოტივი), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა)

***ნახევარმცველები:*** დმიტრი ტორბინსკი (კრასნოდარი), ალექსანდრ გოლოვინი, რომან შიროკოვი (ორივე ცსკა), დენის გლუშაკოვი (სპარტაკი), იგორ დენისოვი (დინამო), ოლეგ ივანოვი (ტერეკი), პაველ მამაევი (კრასნოდარი), ალექსანდრ სამედოვი (ლოკომოტივი), ოლეგ შატოვი (ზენიტი)

***თავდამსხმელები:*** არტიომ ძიუბა, ალექსანდრ კოკორინი (ორივე ზენიტი), ფიოდორ სმოლოვი (კრანსოდარი)

***მთავარი მწვრთნელი:*** ლეონიდ სლუცკი

### უელსი

***მეკარეები:*** უეინ ჰენესი (კრ. პალასი, ინგლისი), დენი უორდი (ლივერპული, ინგლისი), ოუენ ფონ უილიამსი (ინვერნესი, შოტლანდია)

***მცველები:*** ეშლი უილიამსი (სუონსი, ინგლისი), ჯეიმს ჩესტერი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ბენ დევისი (ტოტენჰემი, ინგლისი), ჯეიმს კოლინსი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კრის განტერი (რედინგი, ინგლისი), ნილ ტეილორი (სუონსი, ინგლისი), ეშლი რიჩარდსი (ფულემი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** ჯო ლედლი (კრ. პალასი, ინგლისი), ჯო ალენი (ლივერპული, ინგლისი), დევიდ ბოგანი (ნოტინჰემ ფორესტი, ინგლისი), ჯონათან უილიამსი (კრ. პალასი, ინგლისი), დევიდ ედვარდსი (ვულვზი, ინგლისი), ჯორჯ უილიამსი (ფულემი, ინგლისი), აარონ რემზი (არსენალი, ინგლისი), ენდი კინგი (ლესტერი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** გარეტ ბეილი (რეალი, ესპანეთი), დევიდ კოტერილი (ბირმინგემი, ინგლისი), ჰელ რობსონ კანუ (რედინგი, ინგლისი), საიმონ ჩერჩი (დონსი, ინგლისი), სემ ვოუკსი (ბარნლი, ინგლისი)

***მთავარი მწვრთნელი:*** კრის კოულმენი

### სლოვაკეთი

***მეკარეები:*** მატუშ კოზაჩიკი (პლზენი, ჩეხეთი), იან მუხა (სლოვანი), იან ნოვოტა (რაპიდი, ავსტრია)

***მცველები:*** პეტერ პეკარიკი (ჰერტა, გერმანია), მილან შკრინიარი (სამპდორია, იტალია), მარტინ შკრტელი (ლივერპული, ინგლისი), ნორბერტ გიომბერი (რომა, იტალია), იან დიურიცა (ლოკომოტივი, რუსეთი), კორნელ სალატა (სლოვანი), ტომაშ ჰუბოჩანი (დინამო, რუსეთი), დუშან სვენტო (კიოლნი, გერმანია)

***ნახევარმცველები:*** ვიქტორ პეჩოვსკი (ჟილინა), რობერტ მაკი (პაოკ, საბერძნეთი), იურაი კუჩკა (მილანი, იტალია), პატრიკ ჰროშოვსკი (პლზენი, ჩეხეთი), იან გრეგუში (იაბლონეცი, ჩეხეთი), ანდრეი დუდა (ლეგია, პოლონეთი), მიროსლავ სტოხი (ბურსასპორი, თურქეთი), ვლადიმირ ვაისი (ალ გარაფა, ყატარი), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი, იტალია)

***თავდამსხმელები:*** მიხალ დიურიში (პლზენი, ჩეხეთი), ადამ ნემეცი (ტილბურგი, ჰოლანდია), სტანისლავ შესტაკი (ფერენცვაროში, უნგრეთი)

***მთავარი მწვრთნელი:*** იან კოზაკი

## E ჯგუფი

### ბელგია

***მეკარეები:*** ტიბო კურტუა (ჩელსი, ინგლისი), სიმონ მინოლე (ლივერპული, ინგლისი), ჟან ფრანსუა ჟილე (მეხელენი)

***მცველები:*** ტობი ალდერვეირელდი (ტოტენჰემი, ინგლისი), ლორენ სიმანი (მონრეალი, აშშ), ჯეისონ დენაიერი (გალათასარაი, თურქეთი), კრისტიან კაბასელე (გენკი), იორდან ლუკაკუ (ოსტენდე), ტომას მენე (ბრიუგე), ტომას ვერმაელენი (ბარსელონა, ესპანეთი), იან ვერტონგენი (ტოტენჰემი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** მუსა დემბელე (ტოტენჰემი, ინგლისი), მარუან ფელაინი (მანჩესტერი, ინგლისი), რაჯა ნაინგოლანი (რომა, იტალია), აქსელ ვიტსელი (ზენიტი, რუსეთი), მიჩი ბატშუაი (მარსელი, საფრანგეთი), კრისტიან ბენტეკე (ლივერპული, ინგლისი), კევინ დე ბრუინი (სიტი, ინგლისი), ედენ აზარი (ჩელსი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:***, იანიკ ფერეირა კარასკო (ატლეტიკო, ესპანეთი), რომელუ ლუკაკუ (ევერტონი, ინგლისი), დრის მერტენსი (ნაპოლი, იტალია), დივოკ ორიჯი (ლივერპული, ინგლისი)

***მთავარი მწვრთნელი:*** მარკ ვილმოტსი

### იტალია

***მეკარეები:*** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), ფედერიკო მარკეტი (ლაციო)

***მცველები:*** მატია დე შილიო (მილანი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), მატეო დარმიანი (მანჩესტერი, ინგლისი), ანჯელო ოგბონა (ვესტ ჰემი, ინგლისი), ანდრეა ბარძალი, ლეონარდო ბონუჩი (ორივე იუვენტუსი)

***ნახევარმცველები:*** ანტონიო კანდრევა (ლაციო), სტეფანო სტურარო (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), ტიაგო მოტა (პსჟ, საფრანგეთი), მარკო პაროლო (ლაციო), ალესანდრო ფლორენცი (რომა), ემანუელე ჯაკერინი (ბოლონია), ფედერიკო ბერნარდესკი (ფიორენტინა)

***თავდამსხმელები:*** ჩირო იმობილე (ტორინო), გრაციანო პელე (საუთჰემპტონი, ინგლისი), სიმონე ძაძა (იუვენტუსი), ლორენცო ინსინიე (ნაპოლი), ედერი (ინტერი), სტეფან ელ შაარავი (რომა)

***მთავარი მწვრთნელი:*** ანტონიო კონტე

### ირლანდია

***მეკარეები:*** დარენ რენდოლფი (ვესტ ჰემი, ინგლისი), შეი გივენი (სტოკი, ინგლისი), კირონ ვესტვუდი (შეფილდ უენსდი, ინგლისი)

***მცველები:*** სეიმუს კოულმენი (ევერტონი, ინგლისი), საირუს კრისტი (დერბი, ინგლისი), საირან კლარკი (ასტონ ვილა, ინგლისი), რიჩარდ კეო (დერბი, ინგლისი), ჯონ ოში (სანდერლენდი, ინგლისი), შეინ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი), სტივენ უორდი (ბარნლი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** ეიდენ მაკგიდი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), ჯეიმს მაკლინი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), გლენ უელენი (სტოკ სიტი, ინგლისი), ჯეფ ჰენდრიქსი (დერბი, ინგლისი), დევიდ მელერი (ჰალი, ინგლისი), სტივენ კეინი (რედინგი, ინგლისი), ჯეიმს მაკარტი (ევერტონი, ინგლისი), უესლი ჰულეჰანი, რობი ბრეიდი (ორივე ნორვიჩი, ინგლისი), ჯონათან უოლტერსი (სტოკ სიტი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** რობი კინი (ლ. ა. გელექსი, აშშ), შეინ ლონგი (საუთჰემპტონი, ინგლისი), დერილ მერფი (იფსვიჩი, ინგლისი)

***მთავარი მწვრთნელი:*** მარტინ ონილი

### შვედეთი

***მეკარეები:*** ანდრეას ისაკსონი (ქასიმფაშა, თურქეთი), რობინ ოლსენი (კოპენჰაგენი, დანია), პატრიკ კარლგრენი (აიკ)

***მცველები:*** ლუდვიგ აუგუსტუნსონი, ერიკ იოჰანსონი (ორივე კოპენჰაგენი, დანია), პონტუს იანსონი (ტორინო, იტალია), ვიქტორ ლინდელოფი (ბენფიკა, პორტუგალია), ანდრეას გრანკვისტი (კრასნოდარი, რუსეთი), მიკაელ ლუსტიგი (სელტიკი, შოტლანდია), მარტინ ოლსენი (ნორვიჩი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** ჯიმი დურმაზი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ალბინ ეკდალი (ჰამბურგი, გერმანია), ოსკარ ჰილიერმაკი (პალერმო, იტალია), სებასტიან ლარსონი (სანდერლენდი, ინგლისი), პონტუს ვერნბლუმი (ცსკა, რუსეთი), ერკან ზენგინი (ტრაბზონი, თურქეთი), ოსკარ ლევიცკი (მალმიო), ემილ ფორსბერგი (ლაიპციგი, გერმანია), კიმ კალსტრომი (გრასჰოპერსი, შვეიცარია)

***თავდამსხმელები:*** მარკუს ბერგი (ტრაბზონი, თურქეთი), ჯონ გუიდეტი (სელტა, ესპანეთი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ, საფრანგეთი), ემირ კუიოვიჩი (ნორჩიოპინგი)

***მთავარი მწვრთნელი:*** ერიკ ჰამრენი

## F ჯგუფი

### პორტუგალია

***მეკარეები:*** რუი პატრისიუ (სპორტინგი), ენტონი ლოპეში (ლიონი, საფრანგეთი), ედუარდო (დინამო ზ. ხორვატია)

***მცველები:*** ბრუნო ალვეში (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ჟოზე ფონტე, სედრიკ სოარეში (ორივე საუთჰემპტონი, ინგლისი), ელიზეუ (ბენფიკა), ვიეირინია (ვოლფსბურგი, გერმანია), რაფაელ გერერო (ლორიანი, საფრანგეთი), რიკარდო კარვალიუ (მონაკო, საფრანგეთი), პეპე (რეალი, ესპანეთი)

***ნახევარმცველები:*** ჟოაო მოუტინიო (მონაკო, საფრანგეთი), ადრიენ სილვა, ჟოაო მარიო, უილიამ კარვალიუ (ყველა სპორტინგი), ანდრე გომეში (ვალენსია, ესპანეთი), დანილო პერეირა (პორტუ), რენატო სანჩესი (ბენფიკა)

***თავდამსხმელები:*** რაფა სილვა (ბრაგა), ედერი (სუონსი, ინგლისი), რიკარდო კვარესმა (ბეშიქთაში, თურქეთი), ნანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), კრიშტიანო რონალდუ (რეალი, ესპანეთი)

***მთავარი მწვრთნელი:*** ფერნანდო სანტუში

### ისლანდია

***მეკარეები:*** ჰანეს ჰალდორსონი (ბოდიო, ნორვეგია), ოგმუნდურ კრისტინსონი (ჰამარბი, შვედეთი), ინგვარ იონსონი (სანდეფიორდი)

***მცველები:*** ბირკირ სავარსონი (ჰამარბი, შვედეთი), რაგნარ სიგურდსონი (კრასნოდარი, რუსეთი), არი სკულასონი (ოლბორგი, დანია), აუკურ ჰაუკსონი (აიკ, შვედეთი), შვერირ ინგასონი (ლოკერენი, ბელგია), ჰორურ მაგნუსონი (ჩეზენა, იტალია), ჰოირტურ ჰერმანსონი (გიოტებორგი, შვედეთი)

***ნახევარმცველები:*** არონ გუნარსონი (კარდიფი, უელსი), ემილ ჰალფრედსონი (უდინეზე, იტალია), ბირკირ ბიარნასონი (ბაზელი, შვეიცარია), იოჰან გუდმუნდსონი (ჩარლტონი, ინგლისი), გილფი სიგურდსონი (სუონსი, ინგლისი), თეოდორ ბიარნასონი (ორჰუსი, დანია), რუნარ მარ სიგურიონსონი (სუნდსვალი, შვედეთი), არნორ ინგვიტრაუსტასონი (ნორჩიოპინგი, შვედეთი)

***თავდამსხმელები:*** ეიდურ გუდიონსენი (მიოლდე, ნორვეგია), კოლბეინ სიგორსონი (ნანტი, საფრანგეთი), ალფრეო ფინბოგასონი (აუგსბურგი, გერმანია), იონ დალ ბუვარსონი (კაიზერი, გერმანია).

***მთავარი მწვრთნელი:*** ლარს ლაგერბაკი

### ავსტრია

***მეკარეები:*** რობერტ ალმერი (აუსტრია), ჰაინც ლინდნერი (აინტრახტი, გერმანია), რამაზან ეზჯანი (ინგოლშტადტი, გერმანია)

***მცველები:*** ალექსანდრ დრაგოვიჩი (დინამო კ. უკრაინა), კრისტიან ფუქსი (ლესტერი, ინგლისი), დიერდ გარიჩი (დარმშტადტი, გერმანია), მარტინ ჰინტერეგერი (გლადბახი, გერმანია), ფლორიან კლაინი (შტუტგარტი, გერმანია), სებასტიან პრედლი (უოტფორდი, ინგლისი), მარკუს ზუტნერი (ინგოლშტადტი, გერმანია), კევინ ვიმერი (ტოტენჰემი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** დავიდ ალაბა (ბაიერნი, გერმანია), მარკო არნაუტოვიჩი (სტოკი, ინგლისი), იულიან ბაუმგარტლინგერი (მაინცი, გერმანია), მარტინ ჰარნიკი (შტუტგარტი, გერმანია), შტეფან ილზანკერი, მარსელ ზაბიცერი (ორივე ლაიფციგი), იაკობ იანტშერი (ლუცერნი), ზლატკო იუნუზოვიჩი (ვერდერი, გერმანია), ალესანდრო შელფი (შალკე, გერმანია)

***თავდამსხმელები:*** ლუკას ჰინტერზეერი (ინგოლშტადტი, გერმანია), რუბინ ოკოტი (მიუნხენი, გერმანია), მარკო იანკო (ბაზელი, შვეიცარია)

***მთავარი მწვრთნელი:*** მარსელ კოლერი

### უნგრეთი

***მეკარეები:*** გაბორ კირალი (ჰოლოდაში), დენის დიბუში (ფერენცვაროში), პეტერ გულაჩი (ლაიპციგი, გერმანია)

***მცველები:*** ატილა ფიოლა, გერგე კოჩიში (ორივე პუშკაშ აკადემია), ტამაშ კადარი (ლეხი, პოლონეთი), ბარნაბაშ ბეშე (მტკ), რიჩარდ გუშზიჩი (ვისლა, პოლონეთი), რონალდ იუჰაში, ადამ ლანგი (ორივე ვიდეოტონი), მიხაი კორჰუტი (დებრეცენი)

***ნახევარმცველები:*** აკოშ ელეკი (დიოშდიორი), ზოლტან გერა, ადამ ნადი (ორივე ფერენცვაროში), ლასლო კლანჩაიესნერი (ვერდერი, გერმანია), ბალაჟ ჯუჯაკი (ბურსა, თურქეთი), ადამ პინტერი (ფერენცვაროში), ზოლტან შტიბერი (ნიურნბერგი, გერმანია)

***თავდამსხმელები:*** ადამ სჟალაი (ჰანოვერი, გერმანია), კრისტიან ნემეცი (ალ გარაფა, ყატარი), ნემანია ნიკოლიჩი (ლეგია, პოლონეთი), ტამაშ პრიშკინი (სლოვანი, სლოვაკეთი), დანიელ ბედე (ფერენცვაროში)

***მთავარი მწვრთნელი:*** ბერნ სტორკი

**◎ სლავა მეტრეველი**

# ოცნების ფეხბურთელი

**დიდებულ** ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე კოჰორტაში გასული საუკუნის 60-იანი წლების თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების მარჯვენა გარემარბს სლავა მეტრეველს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. წლეულს, 30 მაისს მას 80 წელი შეუსრულდებოდა და ამ საგულისხმო თარიღს ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ შესანიშნავი წიგნი „ოცნების ფეხბურთელი. სლავა მეტრეველი“ მიუძღვნა.



**საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ რუსულ ენაზე ამ მშვენიერი წიგნის გამოცემაში ბატონ დემიკო ლოლაძეს უდიდესი თანადგომა და მხარდაჭერა გაუწია საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „Русский клуб“- მა მისი თავკაცის, რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და დამსახურებული არტისტის ნიკოლაი სვენტიცკის თაოსნობით, რაც ავტორმა და დამსწრე საზოგადოებამ უდიდესი მადლიერებით აღნიშნეს.**

წიგნის პრეზენტაცია თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა და მას დედაქალაქის, ქართველი საზოგადოების მრავალი გამორჩეული, დამსახურებული წარმომადგენელი, მათ შორის, ცხადია, სახელოვანი ვეტერანი ფეხბურთელი დაესწრო.

არაჩვეულებრივად ამაღელვებელი, ემოციებით აღსავსე საღამო, რომელსაც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმა ჯაიანი** უძღვებოდა, გასული საუკუნის ცნობილი საფეხბურთო მარშის თანხლებით, სლავა მეტრეველის განუმეორებელი საფეხბურთო კარიერის ამსახველი გასაოცარი ფოტოსურათების რეტროსპექტივით დაიწყო.

**„მთელ მსოფლიოში სულ რამდენიმე ათეული ფეხბურთელია, რომელთაც მსოფლიო ნაკრებში მიწვევის პატივი ერგო. რჩეულთა რიცხვში სლავა მეტრეველი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე ბრწყინვალე გამოსვლების წყალობით შედის. მისი სახელი უდიდეს ფეხბურთელთა თანავარსკვლავედში კაშკაშებს, რომელთა შორის არიან დი სტეფანო, პელე, გარინჩა, ეუსებიო, ბეკენბაუერი, იაშინი...“,** — წერს წიგნის შესავალში დემიკო ლოლაძე.

ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაფერია, რაც კიდევ ერთხელ საღამოზე ყველა სიტყვით გამოსულმა დაადასტურა. თავიანთი მოგონებები სლავა მეტრეველზე, მისი უზადო ნიჭის საყოველთაო აღიარებასა და გასაოცარ კარიერაზე, იმ დაუვიწყარ ხანაზე, როცა მთელი საქართველოს გულშემატკივრები კვირიდან კვირამდე საფეხბურთო ზეიმის მოლოდინში იყვნენ, საზოგადოებას გაუზიარეს ცნობილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ **ავთანდილ საყვარელიძემ,** საქართველოს სახალხო არტისტმა **გურანდა გაბუნიამ,** აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** მწერალმა **რევაზ მიშველაძემ, „ცისფერმა ტრიომ“,** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ალიბეგაშვილმა,** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **გიორგი გვაზავამ,** მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა,** პოეტმა **ერეკლე საღლიანმა,** აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ,** მომღერალმა გია დავითიანმა, ვეტერანმა




ფეხბურთელებმა **მანუჩარ მაჩაიძემ** და **მურთაზ ხურცილავამ,** კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა,** რომელმაც თავად შეასრულა თავისი შესანიშნავი სიმღერა „დინამო, დინამო!“ და მსახიობმა **ვახტანგ ცხადაძემ**.

ძნელია, ერთ საგაზეთო მასალაში ყველა გამოსვლის პათოსის, შინაგანი მუხტის გადმოცემა, მაგრამ, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ მათ ერთგვარ რეფრენს გამოვყოფ — გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ფეხბურთი ერის დღესასწაული იყო, სლავა მეტრეველი კი ამ ზეიმის უდიდესი საჩუქარი.



და კიდევ ერთი. ჩვენმა სასიქადულო მსახიობმა, ქალბატონმა გურანდა გაბუნიამ დიდი გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ სლავა მეტრეველის სახელსა და მის ხსოვნას აშკარად აკლია საკადრისი პატივისცემა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და ეს საყვედური მათ, ვისაც ამის გაკეთება ეგებათ, უკლებლივ ყველა დამსწრემ გაიზიარა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**◎ რაგბი**

# წაგებითაც სწავლობენ

**20 წლის მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც ინგლისი მასპინძლობს, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მანჩესტერში პირველი მატჩი მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ახალი ზელანდიის ნაკრებთან გამართა და დიდი ანგარიშით წააგო — 0:55**. ცხადი იყო, რომ მეტოქე „უმცროს ბორჯღალოსნებს“ უეჭველად დაამარცხებდა, მაგრამ ჩვენებსაც შეეძლოთ, მოედანი მშრალად არ დაეტოვებინათ. საქართველოს ნაკრებმა რამდენჯერმე გასატან პოზიციაზე ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა, თუმცა, ბიჭებმა ლელოზე თამაში ამჯობინეს. სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდათ. ზელანდიელებმა პირველ ტაიმში ხუთი, მეორეში ოთხი ლელო გაგვიტანეს და შეხვედრა 55:0 მოიგეს. მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:



**საქართველო:** სვანიძე, მესხი, კოშაძე (ქანდაურაშვილი, 55), ილურიძე (შანიძე, 70), მერკვილიშვილი, მოძღვრიშვილი, ლობჟანიძე (აფრასიძე, 66), ნეფარიძე (მატარაძე, 50), საჯაია (ხუროშვილი, 60), მელიქიძე (ტაბიძე, 64), ბაბუნაშვილი, ეფრემიძე (ჯავახია, 61), ცხადაძე (გორგაძე, 68), ცუცქირიძე, გიორგაძე.

**ახალი ზელანდია:** სტივენსონი, მაკენე, ტომკინსონი, ბარეტი, ლოუ, ვაა, ნოკი, ჯონსტონი, აპისაი, სოსეფო, სტრენჯი, ვოლკერი, ლ. ჯეიკობსონი, მ. ჯეიკობსონი, ტუუ.

ჩვენს ჯგუფში ირლანდიელმა ახალგაზრდებმა დაძაბულ პაექრობაში უელსელ თანატოლებს აჯობეს 26:25. საქართველო ხვალ უელსთან გაარკვევს ურთიერთობას, ზელანდია კი ირლანდიას შეხვდება.

* * *

**შაბათსვე საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს. „ბორჯღალოსნები“ 4 ივნისიდან სამოაზე იმყოფებიან, სადაც ივნისის ტესტებისთვის განაგრძობენ მზადებას. პირველ ორთაბრძოლას ჩვენები სამოასთან გამართავენ. ნაკრების თავკაცი მილტონ ჰეიგი მზადებით კმაყოფილია.** მასპინძლებმა ქართველთა პატივსაცემად საღამო გამართეს, რომელსაც სამოას პრემიერ-მინისტრი ტაულიეპა საილელეც დაესწრო. „ჩვენ ხელიდან არ ვუშვებთ შესაძლებლობას, დავტკბეთ თამაშის სხვადასხვა სტილის ხილვით. ბოლოს, როდესაც ჩვენი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, დავმარცხდით ბევრად ძლიერ საქართველოსთან. თქვენი ნაკრები განაგრძობს წინსვლას მსოფლიო რეიტინგში და სამოაზე წინაა, რაც სრულიად დამსახურებულია. დარწმუნებული ვარ, შაბათს ძალიან საინტერესო სანახაობა გველის,“ — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

**ტესტები**

**11 ივნისი.** საქართველო-სამოა,
**18 ივნისი.** საქართველო-ტონგა,
**24 ივნისი.** საქართველო-ფიჯი.

**ლაშა დიდია**

**◎ მძლეოსნობა**

# მალტაში – ცხრა სპორტსმენით




**ევროპის მცირე ქვეყნების მძლეოსანთა ჩემპიონატს ხვალ მალტა უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაში ცხრა სპორტსმენით იასპარეზებს**. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბაჩანა ხორავა (სიგრძეზე ხტომა), ნიკა კარტავცევი (100 და 200 მ რბენა), სალომე რიგიშვილი (ბადრო), იოსებ მარუქაშვილი (200 მ რბენა), ირინა მიკიტიუკი (სიგრძეზე ხტომა), მაიკო გოგოლაძე (სიგრძეზე ხტომა), ვალენტინა ლიაშჩენკო (სიმაღლეზე ხტომა), ანდრანიკ მატინიანი (800 მ რბენა), რომიკო ბადრიძე (სიგრძეზე ხტომა). ეს ასპარეზობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სპორტსმენებს იქ რიოს ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის (6-10 ივლისი, ამსტერდამი) ლიცენზიების მოპოვება შეუძლიათ.

**გივი გაგუა**

**◎ კარატე**

# სეზონის ფინიშზე

**ახლახან ესტონეთის დედაქალაქმა იქაური კარატეს კლუბ „ბუდოს“ (პრეზიდენტი ალექსანდრე ზიკოვი) ორგანიზებით გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა 20-მდე ქვეყნის დაახლოებით 1000-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.**



ტალინში ჩვენს ქვეყანას საქართველოს შოტოკან კარატედოს კონფედერაციის გუნდი წარმოადგენდა მისი პრეზიდენტის მზეჭაბუკ მახარაძის თავკაცობით.

„ჯვაროსანთა“ დელეგაცია სამშობლოში ანდრია კარბაიას მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდა, რომელმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავა 10-11-წლამდელთა ინდივიდუალურ კატასა და ინდივიდუალურ კუმიტეში.

* * *

**არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები კავკასიის თასის გათამაშებაში.** საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის (პრეზიდენტი მზეჭაბუკ მახარაძე) მოწვევით თბილისში ჩამოსულმა ისრაელის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის, რუსეთის, უკრაინისა და სომხეთის 200-მდე წარმომადგენელმა მასპინძლებთან ერთად მსოფლიოს შოტოკან კარატედოს ფედერაციის (W.S.K.F. — უფროსი ინსტრუქტორი ჰიტოში კასუია. VIII დანი. იაპონია) წესებით იასპარეზა.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

**ბიჭები**

**ინდივიდუალური კატა**. გიორგი ტონია, ანდრია კარბაია, ლაზარე კალმახელიძე, თამაზ გოჩელაშვილი (საქართველო), ნარეკ საროიანი, არტაკ საროიანი (სომხეთი), იური საბაევი (ისრაელი), ილიაზ აირზაიევი (აზერბაიჯანი).

**გუნდური კატა**. ისრაელის გუნდი, სომხეთის გუნდი.




**ინდივიდუალური კუმიტე**. ნიკოლოზ ჩაჩანიძე, საბა მწყერაშვილი, სანდრო წულაია, საბა კოლხიდაშვილი, მათე ჟორჟოლიანი, ანდრო ტერ-ვართანიანი, თამაზ გოჩელაშვილი, დავით ზოზიაშვილი (საქართველო), ემილ აბდულაევი, რუსლან აბდულაევი, ელხან მუსაზადე, თებრიზ ბეიალიევი (აზერბაიჯანი), დავით ასატრიანი, არუთიუნ ნაზარიანი (სომხეთი).

**გოგონები**

**ინდივიდუალური კატა**. ზეინათ ალირზაევა (აზერბაიჯანი), აიკანუშ საროიანი (სომხეთი).

**ინდივიდუალური კუმიტე**

ლიზი ზვიადაური, დეა ზვიადაური, ქეთევან ზაზიკაშვილი (საქართველო).

**გიორგი შოთაძე**

◉ მამულიშვილი

# რუსთავ-ქალაქის ერთგული მეციხოვნე

**„კაცი, რომელზეც ამ წიგნში მოგითხრობთ, თავისი თაობის ბედის თანაზიარი, თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი, ასევე გამორჩეულია, რამე თუ მის თაობას უფალმა წილად არგუნა, ყოფილიყვნენ მშობელი ქვეყნის ლამის უკურნებელი ჭრილობების განმკურნებელნი“, — ასე იწყებს ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი, ჩვენი ღირსეული კოლეგა, ბატონი გივი ჯახუა წიგნს შესანიშნავ მამულიშვილზე, რომელსაც თავისი ღვაწლისა და დამსახურებისთვის არა მარტო მშობლიურ რუსთავ-ქალაქში, არამედ მთელ საქართველოში და ყოფილ საბჭოეთშიც კარგად იცნობენ. ეს ადამიანი გახლავთ ბატონი ვალერიან გრძელიშვილი, რუსთავის ყოფილი ვიცე-მერი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამმართველოს უფროსი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, ქველმოქმედი და უანგარო მეგობარი...**

მტერთა და მომხდურთა მიერ იავარქმნილი, ნანგრევებად და ჯაგ- ბუჩქნარად ქცეული, ერთ დროს საქართველოს უძველესი ქალაქი და ციხე-ბურჯი, ისტორიული ბოსტან-ქალაქი საქართველოს რუკაზე აღარც არსებობდა და თავისი ოდინდელ სიძლიერეს მიწისქვეშეთში მალავდა არქეოლოგთა მომლოდინე.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მონღოლთა და თურქსელჩუკთა იავარქმნილი ნაქალაქარი იოსებ სტალინს გაახსენდა და ამიერკავკასიაში დიდი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა ბრძანა. დაიწყო რუსთავ-ქალაქის მეორე სიცოცხლე — 1941 წლის 19 იანვარს იგი ქალაქად ეკურთხა, აღზევდა უძველეს ხალიბთა, მსოფლიოში პირველ რკინის მწარმოებელთა გენი. საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა მიაშურა ახალი ქალაქის მშენებლობას, პირველი ფოლადიც ჩამოისხა და თბილისის მახლობლად სიცოცხლე დაიწყო ასსამოცდაათასიანმა ქართულმა ქალაქმა.

სწორედ აქ, ახალი ქალაქის მშენებლობას მიაშურა სამამულო ომიდან დაბრუნებულმა საქართველოს ულამაზესი კუთხის, რაჭის სოფელ სევას მკვიდრმა ალექსანდრე გრძელიშვილმა, ჩვენი წიგნის გმირის, ბატონი ვალერიანის მამამ. დაფუძნდა, არ შეარცხვინა თავისი გვარი და ჯიში და იმ დღიდან არ უღალატია შვილივით გაზრდილი ქალაქისთვის: ხელმადლიანმა და სხვათათვის ხელისგამმართავმა კაცმა სასადილო მოაწყო და ამ მშვენიერი წიგნის ავტორს ბატონ გივი ჯახუას თუ დავესესხებით, **„ამ გულღია რაჭველმა კაცმა დააპურა ნახევარი რუსთავი, უამრავი მეგობარი, ახლობელი, პატივცემული ადამიანი გაიჩინა“**. იქვე, გვერდით, როდესაც თანამედროვე რესტორანი გახსნეს, ხალხი მაინც „ძია ლექსოს“ დუქანს ეტანებოდა. რატომ? **„კურთხეული, ხელმადლიანი, გულუხვი, ხელის გამმართავი, მუდამ მოღიმარი კაცი იყო და იმიტომაცო“...**


ციალა და ვალიკო გრძელიშვილები მონაგართან ერთად

ვისთვის უნდა მიებაძათ ბატონ ალექსანდრეს ვაჟებს — ვალერიანს, შალვას, დავითს, თუ არადა მამისთვის, სიკეთისა და ერთგულების ეტალონისთვის. ახალი ქალაქი მათთვის საასპარეზოდ შენდებოდა. შალვამ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა და მშობლიურ რუსთავში წარმატებულ



ინჟინრად, რაციონალიზატორ-გამომგონებლად ილვაწა. უმცროსი ძმა დავითი სიქველითა და გვარიშვილობით გამორჩეული ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის წარმატებული მუშაკი გახდა, მამასავით და ძმებივით დაფასებული და პატივსაცემი.

ვალერიან გრძელიშვილი, ბატონი გივი ჯახუას წიგნის — **„კაცი, რომელიც აშენებს ქალაქს“** — გმირი ვაჭრობის მუშაკი გახდა და მის დამსახურებებზე ზემოთაც მოგახსენეთ. მხოლოდ ერთს დავესესხები ისევ წიგნის ავტორს და ჩვენს მკითხველებს ვაუწყებ, რომ ბატონ ვალერიანს ორჯერ შესთავაზეს ვაჭრობის მინისტრის პოსტი და ორჯერვე უარი თქვა. ამჯობინა ვაჭრობის ღირსეულ მუშაკად დარჩენა — ქვეყანაში ამ დარგის სპეციალისტი ბევრია და დაე მათ ილვაწონო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა — **„ცხოვრება გამოცდაა, ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ამ გამოცდას ღირსეულად შეხვდება“**. ვალერიან გრძელიშვილმა გაუძლო ამ გამოცდას, ახლა უკვე ჭარმაგ მოჭირნახულე კაცს, ნაწრთობს, ნაომარსა და გამობრძმედილს ამაყად შეუძლია გახედოს წარსულს, მისი წინაპრებისა და მის მიერ განვლილ ბრძოლითა და შემოქმედებით განვლილ გზას. ბატონი ვალერიანის და ქალბატონი ციალა გვიმრაძის მრავალშვილიანი ოჯახი რუსთავ-ქალაქის სტუმართა და ახლობელთა „ჭიშკრის გამღები“ და მასპინძელია. ამ ტრადიციას არც შვილები და მათი მონაგარი ღალატობენ, რადგან გრძელიშვილთა გვარი ქალაქის ერთგული მეციხოვნეა.

**ღმერთო, უმრავლე საქართველოს და გრძლად ამყოფე ამ მოკლე წუთისოფელში გრძელიშვილთა გვარი და ამ გვარის ღირსეული ადამიანები.**

**მამუკა ვაშაკიძე**

## ზოოპარკი თბილისის ზღვაზე ეტაპობრივად გადავა

**თბილისის მერი დავით ნარმანია მოადგილეებთან გიორგი ლილუაშვილთან და ირაკლი ლექვინაძესთან ერთად, ზოოპარკის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც ჟურნალისტებს 13 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები გააცნო.**

**„13 ივნისის სტიქიის შედეგად, ზოოპარკის ტერიტორია მნიშვნელოვნად დაზიანდა. დაზიანდა როგორც პარკის ინფრასტრუქტურა, ასევე, დაიღუპა და დაიკარგა 280 ერთეულზე მეტი ცხოველი. ჩვენ შესაბამის უწყებებთან ერთად ძალიან სწრაფად დავიწყეთ ზოოპარკის გაწმენდითი სამუშაოები, დიდი ნაშალი მასალა იქნა ზოოპარკის ტერიტორიიდან გატანილი, რომლის შემდეგაც, აღვადგინეთ დაზიანებული ვოლიერები, დავიწყეთ ახალი ვოლიერების მშენებლობა და შესაბამისად, დავაბინავეთ ის ცხოველები, რომლებიც გადაურჩნენ სტიქიას. გარდა ამისა, ჩვენი მეგობარი ქვეყნების ზოოპარკები გვეხმარებიან, ეტაპობრივად ჩამოგვყავს ცხოველები და ფრინველები. აღნიშნული ტერიტორია, რამდენიმე წელი იქნება შენარჩუნებული, ვიდრე ახალი ზოოლოგიური პარკი არ განვითარდება, თუმცა მოსამზადებელი სამუშაოები ახალი ზოოპარკისთვის ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს დავიწყეთ და 48 ჰა ტერიტორია მთლიანად შემოიღობა, გაკეთდა კავკასიური ჯიშის ნაგაზებისთვის სპეციალური ძაღლსაშენი, გარდა ამისა, მიმდინარეობს ვოლიერების მშენებლობა, ნაწილი დაპროექტების პროცესშია, რათა ეტაპობრივად გადავიტანოთ ზოოპარკი თბილისის ზღვის მიმდებარედ, ხოლო ეს ტერიტორია განვავითაროთ, როგორც სარეკრეაციო სივრცე,“ — განაცხადადავით ნარმანიამ.**

**თბილისის მერთან ერთად, ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ ჟურნალისტებს ზოოლოგიური პარკის ახალი ბინადრები გააცნო. ცოტა ხნის წინ, თბილისის ზოოპარკს 29 ახალი ცხოველი და ფრინველი შეემატა, 13 ივნისამდე, კი, სხვადასხვა ქვეყნის ზოოპარკების დახმარებით, ზოოლოგიურ პარკში, დამატებით 46 ცხოველი განთავსდება.**

**აშენდა პავიანების, ბერბერული მაკაკების, ლემურების, კენგურუების, ტაპირებისა და ემუების, მანგუსტებისა და მაჩვზღარბების, კოატების სრულიად ახალი ვოლიერები. მოეწყო ბეჰემოთის ზამთრის ვოლიერი აუზითა და გათბობით, ორი ახალი აკვარიუმი ეგზოტარიუმში (9 ტონიანი და 4-ტონიანი).**

**სტიქიიდან ერთი წლის შემდეგ, ზოოპარკის ტერიტორიაზე სრულად არის აღდგენილი მიწისქვეშა კომუნიკაციები, პარკი შემოიღობა ლითონის ბადით (850 გრძივი მეტრი). აღდგა მწვანე საფარი, ვოლიერები.**

◉ წვიმიანი ზაფხულის მიუხედავად...

## გვექნება თუ არა ახალი ტურისტული რეკორდი?

**საქართველოში ზაფხულის ტურისტული სეზონი უკვე 10 დღეა, გაიხსნა. მართალია, საზღვაო კურორტებზე დამსვენებლები ჯერ არ ჩანან, მაგრამ ქვეყანაში უცხოელი ვიზიტორების სიჭარბეა. რაც დროს გადის, საქართველო სულ უფრო მიმზიდველი ტურისტული მიმართულება ხდება.**

**განსაკუთრებით აქტიურობენ რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო, ველარ ახერხებენ ეგვიპტის, თურქეთისა თუ სხვა უფრო ძვირად ღირებული ტურისტული ქვეყნების მონახულებას.**

მაისის მაჩვენებლებით, იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაყვეს საქართველოში, თითქმის 205 ათასი შეადგინა, ზრდა კი 24.3 პროცენტია. რაც შეეხება ვიზიტორების რაოდენობას, რომელიც ტურისტებისა და საქართველოში ტრანზიტული თუ სხვა ტიპის ხანმოკლე ვიზიტებით მოგზაურთა ერთობლიობას შეადგენს, ის 2016 წლის პირველ 5 თვეში 2 მილიონ 100 ათასს გადასცდა, ზრდის მაჩვენებელი კი 15 პროცენტზე ოდნავ მეტია.

ამ მონაცემებით თავს იწონებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე: **„ის ტენდენცია, რომელიც ჩვენ შევქმენით მთელ მთავრობასთან ერთად საქართველოში ტურიზმის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, უკვე**



**1 წელიწადზე მეტია, გრძელდება, რაც ნიშნავს, რომ ყოველთვიურად იზრდება ტურისტების და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საქართველოში და ეს აისახება იმ დამატებით შემოსავლებში, რომელიც ქვეყანაში შემოდის და იმ დამატებით სამუშაო ადგილებში, რომელსაც ტურიზმი ქმნის“,** — აცხადებს ჩოგოვაძე.

კიდევ უფრო მეტ წარმატებაზე საუბრობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წლის 5 თვეში საერთაშორისო მოგზაურთა და ტურისტების რაოდენობის რეკორდული ზრდა აღინიშნა.

**„ტურისტების, ანუ მათი, ვინც 24 საათი და მეტი რჩება საქართველოში, 24.3%-იანი ზრდაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოზიტიური მაჩვენებელია ტრადიციული ვიზიტორი ქვეყნებიდან. ჩვენი მეზობელი ქვეყნების გარდა, მნიშვნელოვანი მატებაა ევროკავშირის ქვეყნებიდანაც, რაც ვფიქრობთ, რომ დადებითი ტენდენციაა.**

**ტურიზმიდან შემოსავალმა 2015 წლის ჯამური მონაცემებით, 1.94 მლრდ დოლარი შეადგინა და ზრდა 8.3% იყო. ეს 149 მლნ დოლარით მეტია წინა წლის ანლოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ასევე მატულობს ტურიზმის წილი მთლიან შიგა პროდუქტში და 16.2%-ით გაიზარდა 2015 წელს ტურიზმის წილი მშპ-ში და თითქმის 6.8% შეადგინა, მაგრამ პოტენციალი კიდევ უფრო მეტია“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ვიზიტორების მზარდ ტენდენციას დადებითად აფასებენ ექსპერტებიც. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენელი ირინა გურული რადიო „თავისუფლებასთან“ აცხადებს, რომ ტურიზმის ზრდა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია უცხოური სავალუტო შემოდინებების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, სავალუტო რყევის ფონზე:

ტურიზმის სექტორს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის მთლიანი შიდა პროდუქტის 6.7 პროცენტს შეადგენდა, 2015 წლის მონაცემების მიხედვით. მსოფლიოს ეკონომიკისა და ტურიზმის საბჭოს 2016 წლის ანგარიშის თანახმად, მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის მიხედვით, საქართველო მე-17 ადგილზეა, ხოლო, მთლიანი წილის მიხედვით, 25-ზე მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის.

**ბექა დანელია**



### აშშ-ის ავიამზიდის გამოჩენა ხმელთაშუა ზღვაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მიიჩნიეს ამერიკული მოქნილობის დემონსტრაციად რუსეთისათვის

ამერიკული ავიამზიდის Harry Truman ბაზის შეცვლა სპარსეთის ყურიდან ხმელთაშუა ზღვაში მიზნად ისახავს – უჩვენონ რუსეთს ამერიკული ძალების მოქნილობა და აიძულოს რუსები „იფიქრონ ორჯერ“, განაცხადა წყარომ WSJ -ში. თვითმფრინავები, რომლებიც აფრინდნენ ავიამზიდის ბორტიდან, ბომბავდნენ ისლამური სახელმწიფოს მიზნებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

### იაპონიამ მიმართა რუსეთს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის ხომალდების გავლის შემდეგ სენკაკუს სადავო კუნძულების მახლობლად

იაპონიის ხელისუფლებამ სთხოვა რუსეთს „მიაქციოს ყურადღება“ სიტუაციას რუსული და ჩინური სამხედრო ხომალდების გავლასთან დაკავშირებით სენკაკუს მახლობლად. ამის შესახებ ხუთშაბათს პრესკონფერენციაზე ტოკიოში განაცხადა მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ესიხიდე სუგამ. იაპონიამ ხუთშაბათს ასევე განუცხადა პროტესტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ინციდენტთან დაკავშირებით.

## დედამიწის ზურგზე

### ინდონეზიაში აღმოაჩინეს წინაპარ „ჰობიტის“ ნარჩენები - უძველესი ადამიანი - ლილიპუტისა

Homo floresiensis-ის ნაშთები აღმოაჩინეს 2003 წელს ფლორესის კუნძულზე – ლიანგ-ბუას გამოქვაბულში ამოთხარეს ჩონჩხების ნაწილები, რომელთა ასაკიც დაახლოებით 60-100 ათასი წელია. ფლორესელი ადამიანების სიმაღლე შეფასებულია დაახლოებით ერთ მეტრად, მათი თავის ტვინის მოცულობა იყო სამჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე თანამედროვე ადამიანისა.



### ისრაელმა ქვეყანაში რამადანზე შემოსვლა 83 ათას პალესტინელ არაბს აუკრძალა

გადაწყვეტილება მიღებული იქნა თათბირის შედეგების მიხედვით, რომელიც მოაწყო ქვეყნის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ თელ-ავივში ტერორისტული აქტის შემდეგ მეორე დღეს. მიაჩნიათ, რომ შეტევა განახორციელა ორმა პალესტინელმა. აკრძალვა შემოსვლაზე შეეხება მათი ოჯახების 204 წევრსაც.

### ჩეხეთში 14 ადამიანს, მათ შორის რუსსა და უკრაინელებსაც, ბრალს სდებენ ვიზებთან დაკავშირებულ მაქინაციებში

ყველა სავარაუდო დამნაშავე ჯერჯერობით თავისუფალია, მათ ემუქრება 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გამოკვლევა მიმდინარეობს ყალთაბანდების რამდენიმე ჯგუფთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი ქრთამის სისტემის მეშვეობით ეხმარებოდა უცხოელებს ჩაებარებინათ გამოცდები სასწავლო ვიზების მიღებისათვის.

### ვენესუელა შეისყიდის ტონობით საკვებს და გაანაწილებს მას სახელმწიფო კომიტეტების მეშვეობით

როგორც მთავრობაში განაცხადეს, სახელმწიფოს მიერ შესყიდული საკვები პროდუქტების 70 პროცენტს გაანაწილებენ წარმოებისა და მიწოდების ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით, რომელთა რაოდენობაც 5 ათასია. ამ დროს მთელი პროდუქტების 30 პროცენტი განაწილდება კერძო საწარმოებს შორის – ვენესუელაში მათი რიცხვი 113 ათასზე მეტია. ასე სურს ხელისუფლებას დაეხმაროს გაჭირვებულებს.

### ტაილანდში დღესასწაულობენ მეფე ადულიადეტის ტახტზე ასვლის 70 წლისთავს

მთავარი ზეიმი მიმდინარეობს ბანგკოკში მეფის დიდი სასახლის ტერიტორიაზე, სადაც 770-მა ბუდისტმა ბერ-მონაზონმა ილოცა მონარქის სადიდებლად. ადგილობრივ მცხოვრებლებს აცვიათ ყვითელი ფერის ტანსაცმელი, ბანკებმა გამოუშვეს სამახსოვრო მონეტები და ბანკნოტები. თავად უმილონ ადულიადეტი, ან რამა მეცხრე, რომელიც მეფე გახდა 1946 წელს, ამჟამად საავადმყოფოში წევს.



## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეიძლება, რომ აღორძინდეს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები?

**ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველო-ნატოს არსებითი პაკეტის ზომები, არის ეროვნული სამხედრო ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის შექმნა.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს დაასრულოს საჰაერო ძალების სარდლობის ჩამოყალიბების პროცესი ივნისის ბოლომდე. მთლიანად სამხედრო-საჰაერო ძალების აღორძინება როგორც ჯარების ცალკეული სახეობისა, ითვალისწინებს ქვეყნის საჰაერო თავდაცვის გაძლიერებას ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების დახმარებით.

**„დიდი მნიშვნელობა აქვს გავაკეთოთ ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი, რათა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ნაწილში, მივიღოთ (ნატოს მხრიდან) იმ პრობლემების სრულფასოვანი დადასტურება, რომლებიც მე დავუსვი ჩემს კოლეგებს თებერვალში, თავდაცვის სამინისტროში “,** – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საკითხებში მრჩევლის მოადგილესთან ევრილ ჰეინსთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც 9 თებერვალს თეთრ სახლში გაიმართა. საუბარი შეეხებოდა ნატოს ვარშავის მომავალ სამიტს, რომლის დაწყებამდეც ზუსტად ერთი თვე რჩება. საქართველოს თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელი მისგან ელოდება ყველაზე პოზიტიურ გადაწყვეტილებებს საქართველოსთან დაკავშირებით, რამდენადაც ქვეყანამ შეასრულა პრაქტიკულად ყველა პირობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველო-ნატოს არსებითი ზომების პაკეტით.

პაკეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული პუნქტია საჰაერო თავდაცვისა და სამხედრო ავიაციის შექმნა. შეგახსენებთ, რომ საქართველოში სამხედრო-საჰაერო ძალები გაუქმდა 2010 წელს, მაგრამ გასულ კვირას ხიდაშელმა განაცხადა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბების პროცესის დაწყების შესახებ.

**„დიდი იმედი მაქვს, რომ ივნისის ბოლომდე დასრულდება საჰაერო ძალების სარდლობის ჩამოყალიბების პროცესი. ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, საჰაერო თავდაცვა უნდა იქცეს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა განვახორციელოთ ეს იდეა. საქართველო-საფრანგეთის კონტრაქტი, მაგალითად, უკვე შევიდა აქტიურ ფაზაში“.**

თინა ხიდაშელი საუბრობს საქართველოში ფრანგული რადარებისა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიწოდების შესახებ. ქართველი სამხედრო ჟურნალისტი თემურ კიღურაძე მიიჩნევს, რომ ჯარების ახალი სახეობის ჩამოყალიბების პროცესში ყურადღება გამახვილდება სწორედ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე და არა ავიაციაზე.

**„ახალი თვითმფრინავების შესყიდვების შესახებ ჯერჯერობით არაფერი ისმის. თუმცა ახლა ჩეხეთში იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც საუბრობდნენ, რომ შეიძლება მოდერნიზებული იქნენ ჩეხეთის ის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები, რომლებიც აქვს საქართველოს. მაგრამ რაიმე დიდმასშტაბიან შესყიდვებზე საუბარი არ მიმდინარეობს. ეს, ალბათ, ძვირია – შეისყიდო ახალი თანამედროვე თვითმფრინავები, ასწავლო მფრინავებს. ჯერჯერობით საქართველოს ამდენი ფული არ აქვს. ამიტომ, ვფიქრობ, საკითხი შეეხება მთავარი ყურადღების გამახვილებას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე. კონტრაქტს უკვე მოეწერა ხელი. მიწოდებები (საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა) იწყება მომდევნო წლის დასაწყისში. უკვე წელს ჩამოდიან ფრანგი ოფიცრები, რომლებიც ასწავლიან თავიანთ ქართველ კოლეგებს“.**

საქართველოს საბრძოლო თვითმფრინავების პარკი დღეს შედგება მოიერიშე თვითმფრინავებისგან СУ-25, სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავების Л-39 და შვეულმფრენებ UH-1, МИ-8. და МИ-24 -ისგან. ყველა მათგანი არ იმყოფება საუკეთესო მდგომარეობაში, აღნიშნავს სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი, თუმცა ეს არ არის მთავარი ამბობს ექსპერტი:

„მთავარია არა ის, თუ რამდენი თვითმფრინავი ჰყავს საქართველოს, მთავარია – მოვამზადოთ სამხედრო მფრინავები. ვინაიდან, ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს 10-20 წლის შემდეგ ჰქონდეს შესაძლებლობა – შექმნას უფრო ძლიერი ავიაცია. აი, კადრების მომზადება მაშინ მოგვიწევს თავიდან“.

ეს შეეხება არა მხოლოდ ავიაციას, ამბობს ირაკლი ალადაშვილი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საქართველოში გაუქმდა სამხედრო-საჰაერო ძალებიც. ადრე თუ გვიან, სახელმწიფოს გაუჩნდება მოთხოვნა – აღადგინოს ჯარების ეს სახეობაც. ამიტომ თავდაცვის სამინისტროს მეზღვაურების მომზადების შესახებ უნდა ვიფიქროთ უკვე დღეს, გააფრთხილებს ექსპერტი.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

**ელიოტ ენჯელი,**

**ამერიკელი კონგრესმენი:**

**„ვფიქრობ, შეცდომა იყო ის, რომ 2008 წელს ნატომ საქართველო და უკრაინა თავის რიგებში არ მიიღო. ნატოს რომ მაშინ საქართველო მიეღო, პუტინის გეგმები დღეს სულ სხვაგვარი იქნებოდა“...**



◎ ქრისტიანული პოეზიის VI ფესტივალი

# „წმინდა ნინოს ჯვარი“

**6 ივნისს უკვე მეექვსედ გაიმართა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“. ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).**




ღონისძიება საზეიმოდ გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლია დაუშვილმა.**

მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა ჟიურის თავმჯდომარე **ზაალ ბოტკოველი.** ჟიურიმ (**ლალი ჯაფარაშვილი, თამარ ფარჩუკიძე, ედუარდ უგულავა, ზაალ ბოტკოველი**) ფესტივალის მთავარი პრიზი – „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა **მურად მთვარელიძეს, ნინო მოდრეკილაძეს.**

ფესტივალის პრიზი – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ **ბადრი სულაძეს, გივი ჩილვინაძეს, კახა შალამბერიძეს, ელდარ ჭიჭიაშვილს, მაკა გელაშვილს.**

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ **რუსუდან ჯინჯიხაძე, ვასილ ბოსტაშვილი, მანანა ქურდაძე, დიანა ტყებუჩავა, სალომე გოგოლაძე, თემურ ტაბატაძე, მაია მიქაია.**

დამსწრე საზოგადოებას ორგანიზატორებმა წარუდგინეს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით VI კრებული.

დასასრულ, ხელოვნებასა და მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დაჯილდოვდნენ **ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, ბატონი კახა ცაბაძე.**

დაჯილდოებულთ მიესალმა მხატვარი და პოეტი **რეზო (ემელიანე) ადამია.**

ფესტივალი ჩატარდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

---

**ნინო მოდრეკილაძე**

## მიველითო! - ბრძანა მღვდელმა

„ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან,
აღირჩია სიკვდილი,
ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქართველოისა“

შესდგომია აღმართს – აღმართ,
ჩქარი ნაბიჯებით,
მოძღვარს მძიმე ფიქრად,
დარდად
გულზე მარწუხები...
ადევს, როგორც მზით და
ქარით,
დაშაშრული ლოდი,
უკან მისდევს მტრის ლაშქარი
ცეცხლის შავი ბოლით.
ცხირეთისკენ, თევდორეო,
მოვიტოვოთ კველთა,
აკანკალებს, გეგონება
დაეგესლოთ გველთა...
ანაფორას ივნისის მზე
შუქად ადგას კვართის,
დასავლეთის ციცაბოებს
შორს ჩამორჩათ ქართლი...
მღვდელი მეფის შარავანდედს
ხედავს გულით, წმინდას,
ჯერ ადრეა, ნუ გადარდებს,
ლოცავს სულიწმინდა...
ღმერთთან მეფე ლუარსაბსო
შენ მიასწრებ, ხუცეს,
მღვდელი გახდა უასაკო,
გული ყელში უცემს.
სულ ცოტაც და მივედითო,
სიხარულით გარბის,
მტერს თევდორე ეჩვენება
ვერცხლეულზე ხარბი.
დასცინიან, – „ეს საბრალო,
გვიპოვია სწორად“,
მაგრამ გზასა იწროსა და
ძნელგასავლელ კლდოვანს...
როს მრავალნი მოლაშქრენი
ფოთოლივით მოსწყდნენ,
მიხვდნენ, რიხით მიმავლები
გაუვალს რომ მოსდგნენ.
ორად გაყო ზეცა ელვამ,
უვარსკვლავო ღამის,
მივედითო, ბრძანა მღვდელმა,
ჩემს ღმერთამდე ლამის...
სული სხეულს აესვეტა
თითქოს ჯავშნად იქცა,
უტკივილოდ დაეხეთქა,
დაესვენა მიწას...
მივედითო! –
ბრძანა მღვდელმა,
აელვარდა ხმალი,
მივედითო! – და განიხვნა
ზეცის ყველა კარი!

**მურად მთვარელიძე**

* * *

ბეთლემი,
ბაგაში ვარსკვლავებს რა
უნდათ?!
და მაინც,
ყველა ცა თითქოს აქ ანათებს,
ღვთისმშობელს,
სულში რომ ნათელი ჩაუდგა,
ახლა აქ, ბეთლემში
რომ აფრქვევს ცა ნათელს
და ყრმაი იესო
ანგელოზთ დასს უსმენს,
ცას უმზერს, ვარსკვლავებს
უღიმის, განა თვლემს?!
დეკემბრის ღამეა
და სადღაც, ბაგიდან,
ყველა ცა, ყველა მზე
სხვაგვარად ანათებს!...

* * *

გოლგოთის გზაზე
უფენენ ეკლებს,
ეკალზე უფრო მწარეა ჯვარი,
არ წაფორხილდე,
რადგან ხარ მეკვლე
შენივე რწმენის
და უფლის კარიც
უნდა პირველმა
შეაღო ზესკნელს,
რადგან პირველმა
იტვირთე ჯვარი...

* * *

სისხლის ნაკვალევს
აწყდება ცრემლი,
შენ ცის აღმართის
იებს როს ალევ,
გოლგოთის ზეცა
ღრუბლების ცელით
მოსხიპავს და მზეს
გამოუსალმებს
იესოს,
ჯვარცმას
გოდების წნელით
მიეჭედე და
მიელურსმანე,
თითქოს სამყაროს
უდგახარ მცველად
იერუსალემ!..

---

# „ნათელი ქრისტესი. საქართველო“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით უახლოეს ხანებში გამოიცემა „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატი, ქართველთა საუკუნის ტრილოგიის – „ნათელი ქრისტესი. საქართველო“ მე-3 ტომი.**



როგორც ავტორმა, პროფესორმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, გამოცემა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს ეძღვნება.

მისივე თქმით, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეების ეს აკადემიური რარიტეტული გამოცემა მომზადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობითა და პარტნიორობით.

„ქართველი და საერთაშორისო საზოგადოება უახლოეს დროში მიიღებს ქართველთა საუკუნის წიგნს, რომელიც თანამედროვეთ და მომავალ თაობებს აცნობს კულტურათა და რელიგიათა გზაჯვარედინზე მდებარე ქრისტიანული ცივილიზაციის უძველესი ქვეყნის საქართველოს ისტორიის ანალებს, მის თანამედროვეობას, სულიერებასა და უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას; თანამედროვე ქართული სახელმწიფოს საძირკველში დატანებულ მარადიულ და წარუვალ ღირებულებებს“, – აცხადებს კირთაძე.

ტრილოგია უნიკალური ხელნაწერებით, არქიტექტურული და სხვა სახელოვნებო ნიმუშებით, ექსკლუზიური ფოტორეპროდუქციებით არის გამშვენებული, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებოდ საუკუნის ამ წიგნს გადაეცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმების განძთსაცავებიდან, არქივებიდან, კერძო კოლექციებიდან და ექსპედიციებიდან და მათ პირველად იხილავს ქართველი და უცხოელი მკითხველი.

შეგახსენებთ, რომ აკადემიურ პროექტზე ქართველთა საუკუნის ტრილოგია „ნათელი ქრისტესი. საქართველო“ – მუშაობა დაიწყო 2000 წელს. ტრილოგიის პირველი ტომი გამოიცა 2003 წელს, მეორე – 2006 წელს.

---

**სანთელი**

# გურამ მგელაძე



პურპროდუქტების დარგს (კვების მრეწველობას) შესანიშნავი პიროვნება, დარგის საინჟინრო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ღირსეული კაცი **გურამ მგელაძე** გამოაკლდა... ცნობილი ოჯახიშვილის დედა – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ქეთო ბახტაძე აფხაზეთში დიდ ქართულ საქმეს ემსახურებოდა... გურამმა კვების მრეწველობის სისტემაში თავი გამოავლინა როგორც ნიჭიერმა და ინჟინრული აზროვნების შესანიშნავმა სპეციალისტმა. მისი უშუალო მონაწილეობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თბილისის მაკარონის ფაბრიკას, რომლის მთავარი ინჟინერიც გახლდათ, შემდგომ თბილისის საფუარის ქარხნის მოდერნიზაციას და ამ ქარხანას ხელმძღვანელობდა. შეუმჩნეველი არ დარჩენიათ პროფესიონალი ინჟინრის ღვაწლი და კვების მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, საიდანაც ჯერ „საქპურტრესტის“ საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს უფროსად, შემდგომ კი თბილისის №2 პურის ქარხნის დირექტორად დაინიშნა.

მოამაგე მამულიშვილს სამშობლოს პრობლემები გულში ხანჯლად ესობოდა, დღეკეთილობა კი ასულდგმულებდა. შვილების და შვილიშვილების მომფერებელმა გარდაცვლილ მეუღლეს (ნუნუ გამცემლიძეს) სამაგალითო ოჯახური ცხოვრების გამო წიგნი „შეიცან თავი შენი“ მიუძღვნა. მწუხარებით ვემშვიდობებით გურამ მგელაძეს. ნათელი დაადგეს. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი**

**პანაშვიდი 10, 11 VI, 5 სთ. ატენის 6/8, I სად. მე-14 სართული. გამოსვენება ვაჟა ფშაველას 33 (სამედიცინო ინსტიტუტთან) ღვთისმშობლის ტაძარი, 14 სთ.**

---

**საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული არქიტექტორი, უმწიკვლო პიროვნება და შესანიშნავი მოქალაქე**



## ელენე ქვარცხავა

**ქალბატონი ელენე იყო წარმატებული პრაქტიკოსი არქიტექტორი, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურა საყვარელ საქმეს ჯერ მეუღლესთან, ცნობილ ქართველ არქიტექტორთან (აწ განსვენებული რამაზ კიკნაძე), შემდგომ მათი საქმის გამგრძელებელ შვილთან ერთად; იყო ავტორი მრავალი ღირსშესანიშნავი ობიექტის, მათ შორის რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებაზე ავტორთა ჯგუფთან ერთად შექმნა და გააფორმა საქართველოს პავილიონები (ლიონში, ზაგრებში, ლაიფციგში, თეირანში და სხვ.).**

**1962 წლიდან იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აქტიური წევრი - მოღვაწეობდა მისი გამგეობის რამდენიმე მოწვევის შემადგენლობაში, წარმოადგენდა მას საკავშირო და საერთაშორისო ფორუმებში.**

**ვიზიარებთ მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ახლობლებს.**

---

**შვილები მაია, თამრიკო, შვილიშვილები, ირაკლი, ირინა, რძალი მარიამი, სიძე ბექა, ძმისწული მერაბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

## ირაკლი მირიანაშვილი

**პანაშვიდი 10 VI, 17 სთ. გამოსვენება 11 VI, 14 საათზე. მისამართი: იაკობ ნიკოლაძის №7, I სადარბაზო.**

---

**მაყვალა, თამაზ, გურამ, სანდრო კალანდაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის**

## ირაკლი მირიანაშვილის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

# ბათუმში ახალი სპორტის სასახლე აშენდება

**ბათუმში ორდარბაზიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტის სასახლე აშენდება, აღნიშნულის შესახებ განცხადება აჭარაში ვიზიტით მყოფმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა გააკეთა.**

კომპანია „სოკართან“ გაფორმებული სასპონსორო მემორანდუმის შემდეგ, ტარიელ ხეჩიკაშვილმა ბათუმის სასპორტო სკოლა მოინახულა. მინისტრმა სპორტული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა, შეხვდა მწვრთნელებს და სპორტსმენებს. სკოლაში სპორტის 25 სახეობაში ყოველდღიურად 2 500 ბავშვი და ახალგაზრდა ვარჯიშობს.



შედეგების თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობა ბერძნულ-რომაული ჭიდაობაა, პოპულარობით კი კალათბურთი სარგებლობს.

## მაშველებმა კიდევ ერთი გარდაცვლილი მონადირის ცხედარს მიაკვლიეს

**სოფელ მსხალგორის ტყეში ადგილობრივებისგან შემდგარმა ჯგუფმა კიდევ ერთ ცხედარს მიაკვლია. გარდაცვლილი თანასოფლელებმა ტანსაცმლით ამოიცნეს და ის დაკარგული სამი მონადირიდან, ერთ-ერთია.** მონადირეების ოჯახების წევრები დახმარებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ ცხედრის გადმოსვენება ვერ ხერხდება. ისინი პროცესში დამატებითი ძალის სახით ვერტმფრენის ჩართვას ითხოვენ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში კი აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ვერტმფრენის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს – თავად მაშველები შეძლებენ ცხედრის ამოტანას.

შეგახსენებთ, რომ მთაში ხუთი თვის წინ გაუჩინარებული მონადირის ცხედარი გასულ კვირასაც იპოვეს, რომელსაც ექსპერტიზა უტარდება.

## დაკავებულია გამგეობის თანამშრომელი

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ წრომში დავით გოგალაძე დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა,რომ დავით გოგალაძე მოქალაქეს დაჰპირდა სახელმწიფოს კუთვნილი 8 ჰა მიწის ფართობის იჯარით სარგებლობაში გადასაცემი აუქციონისათვის საჭირო პროცედურების დაჩქარებას და დროულად მოგვარებას, რის სანაცვლოდაც მას ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2000 ლარი.

## მკვლელობა ქინძმარაულზე

**„შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ლევან ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.**

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობს – 1972 წელს დაბადებულ იგორ ნ.-ს სხეულზე ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. იგორ ნ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

## „კულტურის“ სამაჯური



**რუსეთის ტომსკის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიგონეს მოწყობილობა, რომელიც... მეტყველების სიწმინდეს გააკონტროლებს.**

**ამ სამაჯურ-კონტროლიორის მატარებელი კაცი იძულებული იქნება, უარი თქვას უცენზურო ლანძღვასა და პარაზიტი სიტყვების გამოყენებაზე იმის შიშით, რომ ამ შემთხვევაში მას... დენი დაარტყამს.**

სამაჯურის მოქმედების პრინციპი მარტივია: სმარტფონში იტვირთება გარკვეულ სიტყვებისა და კონსტრუქციების შემცნობი პროგრამა. ხელზე სამაჯური მაგრდება, რომელიც ტელეფონს უმავთულო ტექნოლოგიითაა დაკავშირებული. როგორც კი კაცი არანორმატიულ ლექსიკას იხმარს, მობილური ტელეფონი ნიშანს სამაჯურს გადასცემს, ის კი დენის სუსტ, თუმცა კი, საკმაოდ საგრძნობ მუხტს გამოუშვებს.

საინტერესოა, რომ თავად გამომგონებლები აცხადებენ, რომ მათი ხელსაწყო უფრო მეტად მომსახურების სფეროში გამოდგება, სადაც მეტყველების კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

## ზღაპრის წაკითხვის „წესები“

**ძილის წინ წაკითხული თუ მოყოლილი „იდეალური“ ზღაპარი 8,5 წუთს გრძელდება, დაადგინეს ბრიტანელმა მკვლევარებმა.**

საჭირო ხანგრძლივობის გარდა, ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ზღაპრის მოქმედება ციხე-დარბაზში ან ჯადოსნურ ქვეყანაში ხდებოდეს, სიუჟეტში უფლისწულიც იყოს, დედ-მამა ან ბებია-ბაბუა თუ სხვა ახლობელი კი მას „ხმებში“ უყვებოდეს ან უკითხავდეს. ასეთი ზღაპრები ჩვენს პატარებს უფრო სწრაფად დაძინებაში ეხმარებიან.

## ეს უცნაური მაისის ხოჭო

**აეროდინამიკის კანონებით თუ ვიმსჯელებთ, მაისის ხოჭო არ უნდა დაფრინავდეს, მაგრამ ეს მწერი ამ ფუნქციას შესანიშნავად ასრულებს. ზოგადად**



**კი შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე ყოველი მეოთხე ცხოველი – ხოჭოა (!). მაისის ხოჭო კი მათი 400 ათასი სახეობიდან ერთ-ერთია.**

მისი ფრენის მაქსიმალური სიმაღლეა 100 მეტრი. ჰაერში ასული მაისის ხოჭო რამდენიმე წრეს აკეთებს, შემდეგ კი სწორი ხაზით მიფრინავს, მისი კურსიდან აცდენა. შეუძლებელია. მწერი ორიენტაციას ფოთლებიდან ასხლეტილი მწვანე, ასევე ცის ლურჯი და ულტრაიისფერის პოლარიზაციით ახდენს; მაისის ხოჭოს მდედრი მიწაში 10-30 სანტიმეტრის სიღრმეზე ეფლობა და კვერცხებს ისე დებს. თანაც ამას მხოლოდ იქ აკეთებს, სადაც თავადვე გამოიჩეკა, რის შემდეგ იღუპება; მაისის ხოჭო ფრთებს წამში 46-ჯერ იქნევს. კრაზანა ამავე დროში ფრთებს 110-ჯერ ამოძრავებს, ოთახის ბუზი – 330-ჯერ. მაისის ხოჭოს თვალი 8 ათასი ცალკეული ფასეტისგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა მხარესაა მიმართული, ამიტომაც მწერი ყველაფერს ხედავს, რაც ირგვლივ ხდება; ორი წლის ფიჭვის ფესვების შესაჭმელად მაისის ხოჭოს სამი წლის მატლი ერთ დღეს უნდება; მაისის ხოჭოების სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 წელია; დღე-ღამეში მას 80 კილომეტრის გაფრენა შეუძლია, მაქსიმალური სიჩქარე კი 10,8 კილომეტრია; ვიდრე გაფრინდებოდეს, მაისის ხოჭოს სხეულის ერთ მესამედს ჰაერი შეადგენს. ასაფრენად მწერი მას საგანგებო საჰაერო ტომრებში ტუმბავს თავისი სხეულის წონის შესამცირებლად.

## იდეალთან მიახლოებული მამაკაცი



**ტანმაღალ მამაკაცებს თავიანთ შედარებით ტანმორჩილ თანამოძმეებზე მეტი პარტნიორი ქალი არა ჰყავთ და, საერთოდაც, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მამაკაცის მიმართ გამოჩენილი ყურადღება მის სიმაღლესთან ნაკლებადაა დაკავშირებული – ეს დასკვნა კალიფორნიის ჩეპმენის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიტანეს.**

მათ 60 ათასზე მეტი რესპონდენტი გამოკითხეს, რომელთა შორის 37 წლის საშუალო ასაკის ქალი და მამაკაცი თანაბრად იყო წარმოდგენილი და მოულოდნელად ტრადიციული შეხედულებისგან განსხვავებული შედეგი მიიღეს.

მეცნიერები ელოდნენ, რომ ქალებს მაღალი მამაკაცები უფრო იზიდავენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ პარამეტრით ყველა მამაკაცი მიმზიდველობის დაახლოებით ერთ დონეზეა. ერთია მხოლოდ: მთლიან მასას ოდნავ ზედმეტად ტანმორჩილი მამაკაცები ჩამორჩებიან.

რაც შეეხება წონას, ამ შემთხვევაში მშვენიერი სქესის ფავორიტები ნორმალური და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჭარბი წონის მქონე მამაკაცები არიან! ზედმეტად ტანწერწეტა ბატონები კი ამ მხრივ რეიტინგის ბოლოში აღმოჩნდნენ.

ფსიქოლოგების ვარაუდი ამასთან დაკავშირებით ისაა, რომ, როგორც ჩანს, ტანსრულ მამაკაცებს ქალები უფრო ძლიერებად და მზრუნველებად აღიქვამენ.

## ცინცხალი ანეკდოტები

**სკოლიდან ყოველ მოტანილ კარგ ნიშანზე მამა მიხოს თითო ლარს აძლევდა. მოწადინებულ მიხოსაც დღიური სულ „ათიანებით“ ისე ჰქონდა აჭრელებული, რომ გამწარებულმა მამამ ჰკითხა:**

**– შენა, შვილო, რა ქქნა, მაგ ჩემ მოცემულ ფულებს მასწავლებლებს ხომ არ უყოფ?**

* * *

**– თქვენი ქალიშვილის გათხოვებას როდის აპირებთ, ბატონო?**

**– ყოველთვის.**

* * *

**– ძვირფასო, მინდოდა მთელი ქვეყნის ბრილიანტები მეჩუქებინა შენთვის, მაგრამ მთელი ფული ჩებურეკებში დამეხარჯა!..**

* * *

**– ძვირფასო, მოდი ყველა ჩვენი პრობლემა წარსულში დავტოვოთ.**

**– ნაძირალავ, გინდა, მიმატოვო, ხომ?**

* * *

**– იმ წამალმა თუ გიშველათ, მე თქვენ ბოლოს რომ გამოგიწერეთ?**

**– ძალიან მიშველა, ექიმო, უღრმესი მადლობა! ბიძაჩემმა ის შეცდომით დალია და მისი უზარმაზარი ქონების ერთადერთი მემკვიდრე მე დავრჩი...**

* * *

**ამერიკელი ცოლ-ქმარი ევროპაში მოგზაურობს და ვენეციაში ერთ-ერთ არხზე გონდოლით სეირნობისას ცოლი კითხულობს:**



**– ძვირფასო, ახლა ჩვენ სადა ვართ – ვენეციაში თუ ფლორენციაში?**

**– დღეს რა რიცხვია?**

**– 23 ივნისი.**

**– მაშინ ჩვენ ახლა ვენეციაში ვიმყოფებით.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.142; ევრო - 2.386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.087;
100 რუბლი - 3.199; თურქული ლირა - 0.726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.442;
1000 სომხური დრამი - 5.475

### ამინდი 10 ივნისისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +6, | დღე +22 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +15, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 293-37-87, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE